

მისურვეთ მინსკ; მინსკ დაგვამურებთ და გავათმობთ თქვენ!

+ 7 (495) 955-11-11

Agro News.ge

მარცხენა სამრეცხლო

ISSN 1987-8729



9 771987 872003

სამაცნეო-საინფორმაციო ჟურნალი

№2 (105), 03 2021

ინკატი ქართველი
ქართველი

ქართველთა მოვალა და კანონთა დოკუმენტები

20

წალი თევზანს სამსახური



ინკატი
ფილი

DPh
დავათი
ფარმაცევტულ კომპანია

ინკატი
პატი

შექმარი გორგაზალი
ცაშპათხუსტ მრჩეველითან
იღება!

VALTRA

YOUR
WORKING
MACHINE



ვიწოდი კომუნიკაცია ვალტრას
მე-4 თაობის ტრაქტორები -
სასოფლო-სამეურნეო,
საგზაო-კომუნიკაციები და სამშენებლო
სამუშაოებისთვის!

ნარმობაზე საქართველო:

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge
2 90 50 00 2 18 18 81

ნომერი 20 თავისებაზო:



ახალი აგრარული
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

ივნისი, 2021 წელი.

№2 (105)

სარედაქციო კრედიტი:

შოთა მაჭარაძის ლილი (მო. რედაქტორი),
ნუგბარ ებანიძე მახება სოხუმი,
თამარ სანიძე რესუებან გიგაშვილი
(ჯონსურატექნიკი), ოქრო ნიშავე,
ნუგბარ ოქროპირიძე, ხოდარ ბრეგვაძე,
ბექა გრიაშვილი, გორგე ბარისაშვილი
(მეცნიერება-მეცნიერებულია მხარე 1470, 5 ათასი პა სასოფლო
მიწა).

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევოლ განარიბლიძე (თავმჯდომარე),
გურამ ალექსიძე, გვარ ჯაფარიძე,
ზურ ფერგარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი,
ნუგბარ ებანიძე, პატრ კოლუშვილი,
ელგუჯ შავქეძე, ზევად ბრეგვაძე,
ელგუჯ გუგუშვილი, გოგოლ მარგვალშვილი,
ანა გულბანი, ლევან უკმაჯურიძე,
ადოლ ტემუშელაშვილი, ნატო კაცაბაძე,
კუკური ქურია, კახა ლაშვი,
ჯემალ კაციტაძე, ნუკა მემარიშვილი,
ნიკოლაშ ზჩაშვილი, მახედ ჭიჭევაუ,
დავით ბისტაშვილი, რეზო ჯანიძე,
ოსებ სარჯელიძე, ოქრო გურაშვილი,
ანატოლი გირიგაძე, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობალაძე.

დაყაბალონა გორგა მაისურაძემ

უურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with the principles of free press.

© საექივო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივრიული“
(ციფრულ ბაზობრივა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო
დაისტადა შპს „გამომცემლობა გრიფონშ“

გამოცემები:

„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული კუნძულებური
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica – Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

ივნისი, 2021



5

მიზის საქოთხი არსებითად არის
დაკავშირებული ქაუნის გადთან


საჯარო რეესტრის დღევანდელი
მონაცემებით რეგისტრირებულია
მხოლოდ 1470, 5 ათასი პა სასოფლო
მიწა.



13

ფრაგული გამოცემები და
ერთეული ერთეული აღმოჩენა

საფრანგეთში ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საჩვენებელ-სადემონსტრაციო მეურნეობებს და ფერმებს, გამოფენა-გაყიდვებს.



17

კრასანია „ინევი“ – 20 წელის
ფინანსებით ერთად

ცხოველთა მოვლა-შენახვის, მკურნალობის ახალი მიღვიმები ინერგებოდა, საქართველოს კი ყოველივე ამ სიკეთეებზე ხელი არ მიუწვდებოდა.

ჩვენი რეკონიტივია:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
(უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“
ს/ს 404856483
ს/ს „ბაზისპანკი“ BASGE22(220101956)
ა/ს GE23BS0000000034536405
მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

4 მიზის სახელმწიფო აოლიზის
საუკუნეების გადთან

8 კორარაციის როლი
პრიტანეთის ეკონომიკაში

10 ცხვრის სამორისოები
ზეახვა

სახელ-სათას ფარობები,
ცისაგამი ტაცებასავაებები,
გარემოსდაცვითი

ტექნიკური გიგანტის და

ტექნიკური საუკუნეების
დაგუშავება

21

მეცნიერი, აროვასიონები,
ააზრიობი

23 სტევია

27 ვაზის მუვა ციცამალი
[SOUR ROT] საქართველოში

რზონ-აირი, რზონირავალი
ციცა და ციცალის ზეახვი
შეამ-ეიმიკატების საუკათესო
აღზერნაზეა

29

კარას თაფლის წარმოება

33

გაეთ კითხვა აგრონომთან?

33

გაეთ კითხვა ვეზერისართან?



მიწის სახელმწიფო კოლიზის საფუძვლებისთვის

მიწის საკითხის მოუწვესრიგებლობა, უცინარის ყოვლისა – სახელმწიფოს, როგორც მიწის უმსვილესი მესაპუთის, მიწის ძირითადი განვითარების და მოწოდებისთვის მდგრადი ხელს უშლის მიწათსარგებლობის და მიწათმფლობელობის განვითარებას.

სათემო მიწათმფლობელობის არა-რსებობა, მიწაზე მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრების არაადექტურად გამიჯვნა, მიწის ყიდვა-გაყიდვის არასათანადო რეგულირება, მიწათმფლობელობის, როგორც არა მხოლოდ უფლების, არამედ ვალდებულების უქონლობა ხელს უშლის საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას.

მიწის სახელმწიფო და განსაკუთრებით, მუნიციპალური პოლიტიკის გაუმართაობა, მიწათსარგებლობის არასათანადო რეგულირება და დაგეგმვა, მიწათმოწყობის ფაქტიურად მთლიანად მოშლა და სხვ. რაც გადაულახავ ბარიერებს ქმნის ტერიტორიების კეთილგონივრული გამოყენებისთვის და ნარმოშობის არსებით საფრთხეებს, რის გამოც ვეღარ შეძლებთ ჩვენი მიწის, მიწასთან ძირულად დაკავშირებული ყველა სხვა ბუნებრივი რესურსის, ჯეროვნად მოვლა-პატრონობას.

უარესიც, სათემო მიწათმფლობელობის არ არსებობა, თავისთავად, იმდენად დიდი საფრთხეა, რომ სამკვიდრომოკლებული სოფელი კარგავს საკუთრი იდენტობას, მკვიდრი საზოგადოებრივი ერთობიდან, თემიდან, გადაიქცევა სხვისი ხელის შემყურება და მოიმედე ხიზანთა უსახურ მასად,

რითაც სახელმწიფოს, ერს, ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ეცლება.

მიწის სახელმწიფო პოლიტიკის ამოსავალი პრინციპები უნდა იყოს:

1. მიწა არა მხოლოდ ეკონომიკური, ბუნებრივი რესურსი და ნარმობის ძირითადი საშუალებაა, არამედ იგი ჩვენი იდენტობის დამდგენი ეროვნული საუნჯეა – მიწა სამკვიდროა;

2. მიწის, ე.ი. სამკვიდროს ჯეროვანი მოვლა-პატრონობა და დაცვა შეადგენს ყოველი მოქალაქეს, ადგილობრივი თემისა და ეროვნული სახელმწიფოს ძირეულ, საარსებო (ეგზისტენციურ) ფუნქციას;

3. მიწის საკუთრება იმავდროულად სოციალურად დამავალდებულებელი ბუნებისაა, რაც ხაზგასმული იყო კიდეც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლში; (ასევე ყურადსალებია, რომ საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება მკაფიოდ არის ასახული თანამედროვების ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სოციალური სახელმწიფოს გერმანიის კონსტიტუციის მე-14 მუხლში).

ამ ფუნდამენტური პრინციპებიდან, რაც ნაწილობრივ გაზიარებული და ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, გამომდინარე და სუბსიდირობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვით ორ სახელმწიფო და მუნიციპალურ

უცხოელების მიწათმფლობელობის შეზღუდვა (იხ. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი), რაც რასაკვირველია, დისკრიმინაციული ხასიათისა არ არის;

ამ ფუნდამენტური პრინციპების ხორცებსმისთვის მიწის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სამართლებრივი მოწესრიგება; ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის გადასაწყვეტად აუცილებელი იქნება მიწის კანონმდებლობის კოდიფიცირება,

ე.ი. მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების სისტემატიზებული, კომპლექსური თავმოყრა „მიწის კოდექსში“.

სწორედ „მიწის კოდექსში“ უნდა შექმნას ამ ეგზისტენციური ფუნქციის – მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობისა და დაცვის, საჯარო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები და ასეთი პოლიტიკის დემოკრატიულობის, ასევე მისი ეფექტიანობის გარანტიები;

მიწის საჯარო პოლიტიკა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის მიზნიდან (რის გარეშეც თანამედროვე ეფექტიანი და დემოკრატიული მმართველობა წარმოადგენელია) გამომდინარე და სუბსიდირობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვით ორ სახელმწიფო და მუნიციპალურ

დონეზე უნდა წარიმართოს; ამისთვის აუცილებელია მინის რეფორმის დაგეგმვა და გატარება;

მინის რეფორმის ძირითადი მიზნები, გარდა მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის ფუნდამენტური მონესრიგებისა, უნდა იყოს:

1) მინათმლობელობის მიმართულებით:

ა) ისტორიული სამართლიანობის, მაშასადამე, საკუთარ სამკვიდრო მინაზე ადგილობრივი თემის უფლებათა თანამედროვე ფორმით აღდგენა, რაც გულისხმობს ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის მუნიციპალურ საკუთრებას და ადგილობრივი თემის მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობას და მფლობელობაში გადაცემას;

ბ) იმ ვითარების, როდესაც სახელმწიფო კვლავაც რჩება ყველაზე მსხვილი და ამასთანავე სრულიად არაეფექტური მინათმფლობელი, რაც შეიძლება დროულად გამოსწორება; სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებას და ადგილობრივი თემის

მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობას და მფლობელობაში გადაცემული უნდა იქნეს, როგორც სასოფლო (უნინარესად საძოვრები და სათიპები, სათემოტყე, მაგრამ არამარტო), ასევე არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ყველა ის მინა, რაც არ გამოიყენება კონკრეტული სახელმწიფო უფლება-მოსილების განხორციელების, ან სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებით, ან საერთო ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური პროექტებისთვის;

გ) მინის ბაზრის მონესრიგებისთვის აუცილებელია შემოღებული იქნეს სოფლის მეურნის (ფერმერის) სტატუსი და დადგინდეს მინის გაყიდვის დროს უპირატესი შესყიდვის უფლებათა შემდეგი რიგითობა: მკვიდრი სოფლის მეურნე (ფერმერი), სათემო კოოპერატივი, საქართველოს მოქალაქე არამკიდრი სოფლის მეურნე, მუნიციპალიტეტი (იმ პირობით, რომ მინა სათემო სარგებლობისა იქნება), სახელმწიფო;

2) მინათსარგებლობის მიმართულებით – ეროვნულ დონეზე 2022

წლიდან (და არა 2024 წლიდან რასაც ითვალისწინებს სამთავრობო დადგენილება) უნდა აღდგეს მინის სტრატეგიული მართვის, ე.ი. მინათსარგებლობის აღრიცხვის (მინის ბალანსის სისტემური წარმოების), სახელმწიფო რეგულირების (მინათსარგებლობის მონიტორინგი, მინის დაცვის ნორმების მიღება და მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა) და მინის რაციონალური გამოყენების სტრატეგიული დაგეგმარების ფუნქციის, ხოლო ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე – მინის ადგილობრივად ოპერატორი მართვის, ე.ი. მინათმოწყობის (ადგილობრივი მინათსარგებლობის აღრიცხვა და რაციონალური მინათსარგებლობის ოპერატიული დაგეგმარება) ფუნქციის განხორციელება.

პაპატა მუდაზვალი,
პროფესორი, ექსპერტი
აგროეკონომიკაში

დავით ზარდიაზვალი,
ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში

ს ხ ვ ა რ ა კ უ რ ს ი თ

მიწის საკითხი არსებითად არის დაკავშირების პერიოდის გადასაცვლის შესახებ

ეძღვევება გამოჩენილი მეცნიერების აგრძელებული მომენტის, დირსეული პიროვნების და მოქალაქის აკადემიკოს თამაზჯუნილის 85 ცლის იზაბლება.

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის უმთავრესი მინის საკითხის გადაწყვეტაა. მინის საკითხის ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედონის დედობა, რადგან ტერიტორიულ იდენტობა ეროვნული ცნობიერების ნიადაგია, ხოლო მისი შენარჩუნება მინათმფლობელობის და მინათსარგებლობის მონესრიგებლად წარმოუდგენელია. მინა ერის სასიცოცხლო და შემოქმედებითი სივრცე!

ქართული ტრადიციული სამართალი უნინარესად მინის საკითხს აგვარებდა. მინაზე კერძო და საზოგადოებრივი, ე.ი. სათემო საკუთრება მინათმფლობელობის ქართული წესის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, პირველ ყოვლისა,

სწორედ ამიტომ უნდა მივიწინოთ, რომ ისტორიულად არსებული მინათმფლობელობის ქართული წესი ტიპოლოგიურად სწორედაც რომ ეპრობულია.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში ქართული სამართლის უგულებელყოფა და მინათმფლობელობის ქარ-

თული წესის მოსპობა განაპირობა. რუსეთის იმპერიის პირობებში საფრთხე მთლიანად ქართველთა ეროვნულ იდენტობას დაემუქრა.

მინის, როგორც არა მხოლოდ ნივთის, არა მდენ საკუთრების ბიბეჭტის, არამედ როგორც ქართველთა ტერიტორიული იდენტობის განმსაზღვრელი მთავარი ლირებულების – საერთო მამულის დაცვა, ენისა და სარწმუნოების დაცვასთან ერთად, დიდი ილიას მიერ დარაზმული ეროვ-





ნული მოძრაობის მთავარი გეზი და ძირითადი სამოქმედო პროგრამა იყო.

საუბედუროდ, საბჭოთა იმპერიამ ერსაც და ქართულ თემსაც ნიადაგი გამოაცალა, როდესაც კერძო საკუთრებასთან ერთად საერთოდაც მოსპონსათვის საკუთრებაც, ხოლო ქართული მინა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა!

ღვთის მადლით, საქართველომ სახელმწიფო ორგანიზაცია მე-20 საუკუნის მიწურულს პეტრები, რითიც შეიქმნა ის მთავარი პირობა, რომ თანამედროვე, რაციონალურად მოწყობილი ქართული სახელმწიფო, „ფრიად ქვეყანასაც“ და სათემო იდენტობასაც უკვე დემოკრატიული წეს-წყობილებით დაიცავდა, ხოლო მინათმფლობელობის ქართული წესი ახალ ვითარებაში შეისხამდა ხორცს.

სამწუხაროდ, ეს ფუნდამენტური პრობლემა, საქართველომ დღემდე ვერ მოაგვარა. მართალია, 90-ანი წლების დასაწყისში აგრარული რეფორმის გასატარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როცა სასოფლო მინა მის ნამდვილ პატრონებს, ქართველ გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ, მაგრამ ამ რეფორმას განვითარება არ მოჰყოლია: მინის ფონდის უდიდეს ნანილს, რომელიც საბჭოთა ოკუპაციისას აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ჯეროვანი პატრონი დღემდე არ ჰყავს, გამოუყენებელი და უსარგებლო, უარესიც: აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და მაშასადამე, იურიდიულად უპატრონობა!

უკანასკნელი მინის ბალანსის მიხედვით, რომელიც 2004 წლის შემდგომ საერთოდ აღარც ინარმობა (?), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა შეადგენდა 3025,8 ათას

ჰექტარს, მათ შორის, სახნავი – 802,1 ათას ჰექტარს, მრავალწლიანი ნარგავები – 263,5 ათას ჰექტარს, სათიბი – 143,5 ათას ჰექტარს და საძოვარი – 1796,6 ათას ჰექტარს.

საჯარო რეესტრის დღევანდელი მონაცემებით რეგისტრირებულია მხოლოდ 1470, 5 ათასი ჰა სასოფლო მინა, ამ დარეგისტრირებული მინიდან სახელმწიფო საკუთრებაშია 380, 4 ათასი ჰა. როგორც ვხედავთ, ყველაზე ძვირფასი საუნჯის, რომელიც განუხალებად ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს და თანასწორად ეკუთვნის ქართველთა წარსულ, ანტყო და მომავალ თაობებს, უდიდესი ნანილი, ე.ი. არსებული მონაცემებით 1555,3 ათას. ჰა მინა, ანუ სასოფლო-სამეურნეო მინის მთლიანი ფონდის 50%-ზე მეტი აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და იურიდიულად უპატრონობა!

საერთოდ მოუწესრიგებელი და აღურიცხავია მინათსარებლობა! გულსაკლავია, რომ გეორგიიანული კულტურის უძველეს ქვეყანაში დღეს მინის მიმართ ისეთი უდიერი დამოკიდებულებაა, რომელსაც ალბათ ანალოგიც კი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში! დღეს არავინ უწყის, რეალურად რა მდგომარეობაშია საქართველოს მინის ფონდი, სად, ვის ხელში და რამდენი გვაქვს მინა, რისი პატრონები ვართ – რამდენი გვაქვს სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ტყე, წყლის ფონდის მინა, სამრეწველო დანიშნულების, განაშენიანების, რეკრეაციის და სხვ. მინები. აღარაფერს ვამბობთ მინათ-მოწყობაზე, რომელიც ფაქტობრივად მოშლილია; ანდა თუნდაც ქალაქებებისა და ზოგადად, ტერიტორიების სივრცით დაგეგმიარებაზე, რაც სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობაშია!

ასევე კატასტროფულ მგომარეობაშია მინის სამართალიც! დღეს მოქმედ უაღრესად ფრაგმენტულ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობაში საერთოდაც არ არსებობს საზოგადო, მწყობრი და ერთიანი სამართლებრივი პრინციპები, რაც მინასთან, როგორც ქვეყნის განუხალებად და უმთავრეს რესურსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოაწესრიგებდა.

მართალია, კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, სახელმწიფოს მიზნებს სასოფლო-სამეურნეო მინის მესაკუთრედ, მაგრამ ეს კანონი ზოგადადაც არა სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, მისი გამოყენების, მართვისა და დაცვის ჯეროვან რეზუმებს, არამედ ოდენ სახელმწიფო ქონების განკარგვას, მის პრივატიზებას ანდაც სარგებლობის უფლებით გადაცემას აწესრიგებს! კანონში აშკარად არის გამოხატული, იქმნება მყარი შთანაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს მინის პატრონობა იდენტ მის გასაყიდად თუ გაახსენდება! სწორედ ამიტომაც, დღემდე სრულიად უსისტემო და ქაოტური ხასიათი აქვს სახელმწიფოს მიერ მინის გასხვისების პროცესს და არა ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალური მიზან-შენონილობის ანდა რაიმე სხვა არსებითი საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი. სახელმწიფოს დაკარგული აქვს მისი ძირითადი ფუნქცია – კონტროლი მინათსარებლობაზე. სასოფლო თემში, აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უპირობო და წარუნალი ფულება საკუთარ სამყვიდროზე; ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ საერთო, სათემო სარგებლობის მინა – საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდის მინა, ტყის ფონდის მინა (და არამარტო!) იურიდიულად უნდა დაბრუნდეს თემს მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობასა და სარგებლობაში; ეს მინა არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური საკუთრებისა უნდა იყოს და თემის, რომელიც მისი ერთადერთი ლეგიტიმური მფლობელი და მოსარგებლეა, დაუკითხავად შეუძლებელი უნდა გახდეს ამ მინის, ე.ი. სოფლის სამკვიდროს, სამართლიანი და ეფექტური მართვა – მისი განკარგვა, რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამურნეო წარმოების თუ მინის, როგორც ძირითადი სანარმოო საშუალების გამოყენებით სოფლის ტერიტორიაზე სხვა ეკონომიკური საქმიანობის სწორედ მოგანიზება, საბოლოო ანგარიშით – სასოფლო

სამკვიდროს დაცვა და სოფლის გადარჩენის შემდეგ მის განვითარებაზე ზრუნვა;

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქართულ თემის უმთავრესი უფლებები არ დაბრუნებია – იგი მესაკუთრე სამართალ-სუბიექტს დღემდე არ წარმოადგენს! ხოლო სათემო ქონებას მოკლებული სოფელი უკვე ქართული სოფელი კი არა, არამედ ბედისწერას მინებებული დასახლებაა, სადაც საბჭოთა დროიდან დღემდე საზოგადო მიწა-წარმოეული, ე. ს. ხიზნებად ქცეული მოსახლეობა სახლობს და არა მკვიდრი თემი! სანამ თემი არ გახდება სათემო ქონების მესაკუთრე სამართალ-სუბიექტი, ძნელად სავარაუდოა, რომ მიწაზე საზოგადო საკუთრებამ კონკრეტული იურიდიული შინაარსი და მაშასადამე, მიწამაც ჯეროვანი პატრონი დაიბრუნოს!

სასოფლო თემის ეკონომიკური გამოცხლების, დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის, ხოლო შემდგომ მისი ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობის გასაძლიერებლად საუკეთესო (შესაძლოა, ამჟამად ერთადერთიც!) გზაა სასოფლო-სამურნეო კომპერაციის ყოველმხრივი წახალისება, მხარდაჭერა და სწრაფი განვითარება; სასოფლო-სამურნეო კომპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კომპერატივებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიული გავრცელების ფარგლებში, პრიორიტეტი: „ერთი თემი – ერთი კომპერატივი“, წარმოების სპეციალიზაციისა და სანარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო ტრადიციები, მათ შორის სანარმოო ურთიერთობები, ოდითგანვე გავრცელებული იყო საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში. ტერიტორიული გავრცელების ნიშნით შექმნილი სათემო კომპერატივები ქმნიან კომპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩატორები, რომელიც მოკლების შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეკონომიკური ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რასაც ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ამჟამინდელ მოუწესრიგებლობას არ შეიძლება შეეგულოს და ვერც შეეგულება ქართული სახელმწიფო!

სასწრაფოდ უნდა დაიგეგმოს და დროის დაუკარგავად განხორციელდეს ფუნდამენტური აგრარული რეფორმა! ამ რეფორმამ ერთხელ და სამუდამოდ, პრინციპულად უნდა გადაწყვიტოს მიწის საკითხი. ამისათვის კი აუცილებლად მიგვარინა:

1. მიწის რეფორმის ძირითადი მიზნების განსაზღვრა;

2. ფუნდამენტური აგრარული რეფორმისათვის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნა; აუცილებელია რაც შეიძლება მოკლედროში მიწის კოდექსის მომზადება და მიღება.

3. მიწის პრივატიზების მოწესრიგება – ნორმატიული საფუძვლების მომზადება, რომლითაც რეალურ შინაარსს შეიძენს ჯერ კიდევ 1921 წ. ქართული კონსტიტუციის 116-ე მუხლის ის პრინციპი, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“; ამ პრინციპიდან გამომდინარე კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვრება წესები და პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მიწის შემძენი; კერძოდ, დადგინდება სათემო მფლობელობაში მოქცეული მიწის პრივატიზების ისეთი წესიც, როდესაც პრივატიზება დაიშვება მხოლოდ თემის თანხმობით და იმ პირობით, რომ კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებელი პრივატიზებიდან სწორედ თემმა უნდა მიიღოს; გარდა ამისა, მიწის პრივატიზებისას შემძენისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მასშტაბის განვითარების გეგ-

მების (რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტებს) წარდგენა.

4. მიწაზე სათემო მფლობელობის აღდგენა – ნორმატიული, ინსტიტუციური და ტექნიკური საფუძვლების მომზადება, სოფლად ადგილობრივი თემის ჩამოყალიბება, რომელსაც მუდმივ მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცემა სოფლის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სახელმწიფო საკუთრების მიწა;

5. მიწის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღებისა და იმპლიმენტაციის, ფუნდამენტური აგრარული რეფორმის გასატარებლად მიწის რეფორმის სახელმწიფო კომისიის შექმნა; კომისიამ უნდა უზრუნველყოს რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთო-ეროვნული კონსენსუსის მიღწევა, რეფორმის სწორად დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

6. არა მხოლოდ მიწათმფლობელობის არამედ, მიწათსარგებლობის აღრიცხვიანობის სასწრაფოდ მოწესრიგება.

მიწის საკითხის გადაწყვეტა, მამულის ჯეროვანი პატრონობა, მაშასადამე, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ქართული წესით მოწესრიგება, ჩვენი უწინარესი ვალდებულებაა ერთმანეთის, ჩვენი წინაპრებისა და შთამომავლობის წინაშე!

პაპატა ქადაგისაზოდი, პროფესორი, ექსპერტი აგროეკონომიკაში დავით გარდიაზოდი, ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში



კორპუსის როლი ბრიტანეთის ეკონომიკაში - დაბრუნება კორპუსის

მსოფლიოში ქვეყნება უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელიც აჩვენას კორპუსის სიკეთის და მის უპირატესობებს სამიზარდებო საქმიანობის სხვა ფორმატთან შედარებით. ამ მხრივ ძალია საინფორმაციულ გვარვება კორპუსის სამშობლოში, ინგლისში არსებული ვითარება.

ინგლისის კორპერატივთა უმსხვილესმა გაერთიანებამ გამოსცა ბრომურა „გაერთიანებული სამეფოს კომპანიული ეკონომიკა – ბრიტანეთის დაბრუნება კორპერაციაში“.

გთავაზობთ ამ ბროშურის მოკლე მომრებლვას

ავტორების აზრით, კორპერაცია საუკეთესო გამოსავალია იმ პრობლემების გადასალახად, რაც ინგლისს დაუგროვდა წლების მანძილზე. მათგან უმთავრესად მიიჩნევენ ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას:

მოსახლეობის 50% ფლობს ქვეყნის სიმდიდრის მხოლოდ 1%-ს, ხოლო უმდიდრესთა 20%-ის ხელშია ამ სიმდიდრის 84%.

ყველაზე მაღალშემოსავლიან ოჯახთა 10%-ს ასჯერ მეტი ქონება აქვს, ვიდრე ყველაზე დაბალშემოსავლიან ოჯახთა 10%-ს.

ბოლო 30 წლის მანძილზე უმდიდრესთა და უდარიბესთა შორის არსებული ნაპრალი განუწყვეტლივ იზრდება.

„ქონებრივი უთანასწორობა გაერთიანებულ სამეფოს ძირი უჯდება და უარყოფითი შედეგებიც სახე ზეა.

როდესაც მდიდრებსა და ღარიბებს შორის უთანასწორობა გაღრმავებულია, ეს პირდაპირ აისახება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, განათლების, დამაშავეობის დონეზე, ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე. მცირე უთანასწორობის ქვეყნებში ნაკლებია სულით ავადმყოფთა რაოდენობა, უფრო მაღალია განათლების დონე, დაბალია არასრულნლოვანთა შორის შობადობის დონე, ნაკლებია მსჯავრდებულთა რიცხვი და მაღალია ნდობის მაჩვენებლები.

კვლევებმა აჩვენეს, რომ გაერთიანებულ სამეფოში – მსოფლიოს ერთერთ განვითარებულ სახელმწიფოში – სასკოლო ასაკის ბავშვთა 1/6 ვერ დებულობს ჯეროვან განათლებას; მოსახლეობის 1/6 სოციალურად „გარიყულია“, ანუ ვერ სარგებლობს

სოციალური ინსტიტუციების სიკეთით, 1/5 ფინანსურ კრიზისს განიცდის; ოჯახთა 1/3-ში ერთი წევრი მაინც განიცდის ქრონიკულ დეპრესიას და დაძაბულობას. ოჯახთა 48%-ს ასე თუ ისე გააქვს თავი ეკონომიკურად, 15%-ს ეს უჭირს, 6%-ს კი ძალიან უჭირს.

იმავე კვლევების მიხედვით, ამჟამად ქვეყანაში არსებული უთანასწორობის განახევრების შემთხვევაში ასევე განახევრდებოდა მკაფელობების რაოდენობა, სულით ავადმყოფთა რიცხვი 2/3-ით (66%-ით) შემცირდებოდა, პატიმართა რაოდენობა 80%-ით დაიკლებდა, ნდობის დონე კი 85%-ით აიწევდა”.

უთანასწორობის შემცირების მიღლავრ საშუალებად ინგლისში და ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაში (კანადა, შვეცია და სხვ.) სწორედ კომპერაცია მიჩნეული.

„გაერთიანებული სამეფო ისევ იწყებს კომპერირებას. 167 წლის გამოცდილებამ დაგვანახვა და დაგვიმტკიცა, რომ კორპერაციას შეუძლია მოგებასთან ერთად ხალხისთვის თანასწორობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფა, ამიტომ კომპერაცია კვლავ გამოდის წინა პლაზე. ბრიტანეთის ეკონომიკა კვლავ უბრუნდება კომპერატიულ მოდელს, რათა გამოიყენის იგი განვითარების მყარ საფუძვლად” – ნათესამია ბროშურაში.

კომპერატივებისკენ შემობრუნებას ინგლისში კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ შეუწყო ხელი – კომპერატივები გაცილებით უფრო „კრიზისამტანი“ აღმოჩნდნენ, ვიდრე სხვა ბიზნესები.

ბროშურაში მოტანილია ინგლისის კომპერატიული სექტორისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები სამი კრიზისული წლისთვის – 2008, 2009 და 2010 წლებისთვის:

საქონლბრუნვა კომპერატიულ სექტორში, მლრდ. გირგანქა სტერლინგი ქვეყნის ერთიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა, %

2008 28,9 (+5,4%) – 0,1%

2009 31,8 (+10%) – 4,9%

2010 33,2 (-4,4%) +1,3%

ამავე პერიოდში, 2008-2010 წლებში, კომპერატივის წევრთა რაოდენობა 18%-ით გაიზარდა (11,3-დან 12,8 მილიონად). ეს პროცესი გრძელდება და 2020 წლისთვის წევრთა რიცხვი, სავარაუდოდ, 20 მილიონს მიაღწევს.

ავტორებს მიაჩნიათ, რომ კომპერატიული ორგანიზაციები სამი რამით განსხვავდება სამეწარმეო საქმიანობის სხვა ფორმებისგან:

კომპერატივებს აქვთ ზიარი, წილობრივი ხასიათის საკუთრება – მესაკუთრები არიან თავად კომპერატივების წევრები – მომხმარებლები, მოსამსახურები თუ უბრალოდ იმ დასახლების ადგილობრივი მცხოვრები სადაც ესა თუ ის კომპერატივი მოქმედებს. ნებისმიერი კომპერატივი იქმნება იმისთვის რომ მოემსახუროს მის წევრებს, რომლებსაც, როგორც ამ კომპერატივის მფლობელებს, აქვთ თანაბარი ხმა ყველა საკითხში რაც კი ეხება კომპერატივის საქმიანობას.

ამდენად, გარდა მათთვის საჭირო საქონლის და მომსახურების მიღებისა, წევრები ხელს უწყობენ იმ გადაწყვეტილებათა შემუშავებას, რასაც მათი კომპერატივი იღებს.

კომპერატივებს აქვთ ზიარი შემოსავალი. როგორც სხვა ბიზნესები, კომპერატივებიც ირინგტირებულია მოგების მიღებაზე, ოღონდ, იმის ნაცვლად რომ გასამრჯელო მისცეს გარეშე ინვესტორს, კომპერატივი მოგებას ანანილებს თავის წევრებს შორის. ამ გზით მიიღევა სამართლიანობა და განეულ შრომას აზრი ენიჭება.

კომპერატივებს აქვთ ზიარი გლობალური წარმატება – თვითდახმარების და ურთიერთ დახმარების შედეგად კომპერატივები საერთაშორისო მასშტაბის ძალად იქცა.

კენიაში მცირე მიწების მფლობელ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ მათი მოწეული ყავა კარგ ფასად გაყიდონ, რადგან ისინი კომპერატივებში არიან გაერთიანებული. საფრანგეთში ათიდან ცხრა ფერმერი კომპერატივის წევრია და ამ გზით ინახავს ზევის გარებას. ესპანეთში უეფას ჩემპიონ-

თა ლიგის გამარჯვებული კლუბის, „პარსელონას“ გულშემატკივრებს შეუძლიათ თანაბარი მონაწილეობა მიიღონ ამ კლუბის საქმიანობაში, რადგან კლუბის მფლობელები სწორედ ისინი არიან.

დღეს გლობალური კოოპერატიული მოძრაობის შედეგად გვაქვს მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკა რომელიც ღირებულებით მაჩვენებლით მსოფლიოში მეათეა.

დღეს მსოფლიოში 800 მილიონი ადამიანია კოოპერატივის წევრი; კოოპერატივების საერთო ბრუნვა შეადგენს 1,1 ტრილიონ დოლარს; კოოპერატივი წარმოადგენს არსებობის ძირითად საშუალებას 3,6 მილიარდი ადამიანისთვის ანუ დედამიწის მოსახლეობის თითქმის წარმოადგენს კოოპერატივებზე მოდის დაზღვევის მსოფლიო ბაზრის 23 პროცენტი.

ფინეთში, ზოგიერთი მონაცემით, კოოპერატიულ სექტორზე შოდის ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის (GDP) 23 პროცენტი.

იტალიაში 7000 კოოპერატივი საქმიანობს სოციალური ზრუნვის, ჯანმრთელობის დაცვის და დასაქმების სექტორებში.

ესპანეთში არის 550 კოოპერატიული სკოლა

ამერიკის შეერთებულ შტატებში 42 მილიონი მცხორები ელექტრო ენერგიით მარაგდება კოოპერატივებისგან; 82 მილიონი გაერთიანებულია ადგილობრივ საკურედიტო კავშირებში, რომლებიც კოოპერაციის პრინციპებზე ფუნქციონირებას.

ინგლისში 2011 წლის მონაცემებით რეგისტრირებული იყო 5450 კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია 12,8 მილიონი წევრი. წლიური საქონელბრუნვა შეადგენდა 33,2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 50 მილიარდი დოლარი).

ქვეყანაში კოოპერატივების ფართო სპექტრია წარმოდგენილი.

ბროშურის ავტორების თანახმად, ქვეყნის კველაზე წარმატებულ და კარგად აწყობილ ბიზნესებს შორისაა სამომხმარებლო კოოპერატივები.

ინგლისის ყველაზე დიდი სამომხმარებლო კოოპერატივია თე ჩინერატივე როუპ საცალო ვაჭრობის 5000 ობიექტით. იგი ყოველ კვირაში 17 მილიონ მომხმარებელს ემსახურება სურსათით ვაჭრობის, ფარმაცევტიკის, ტურიზმის და სარიტუალო მომსახურების (დამკრძალავი ბიუროები) სექტორებში.

ქვეყანაში ფართოდა გავრცელებული კოოპერატივები, რომელთა

მფლობელები მათივე მუშა-მოსამსახურები არიან. მათი რაოდენობა 2010 წლის მონაცემებით იყო 571, მფლობალთა რიცხვი კი 78400.

ავტორები აღნიშნავენ, რომ მუშა-მოსამსახურებია მფლობელობაში მყოფი კოოპერატივები გამოირჩევიან კოლექტიური პასუხისმგებლობის მაღალი დონით, კადრების მცირე დენადობით. მათი პოპულარობა იზრდება – 2010 წელს ამგვარი კოოპერატივების რიცხვი 10%-ით გაიზარდა წინა, 2009 წელთან შედარებით.

გაერთიანებული სამეფო ცნობილია ფინანსური ინსტიტუტების მაღალი ხარისხით – მსოფლიოში აღიარებული ბანკებით, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებით. მიუხედავად ამისა, კოოპერატივებმა ფინანსური მომსახურების სექტორში მაინც შეაღწია და მნიშვნელოვანი

სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებს 57 კოოპერატიული სადაზღვევო კომპანია; მათი მომსახურებით სარგებლობს 20 მილიონი მომხმარებელი.

ქვეყანაში აქტიურად საქმიანობენ კოოპერატიული საინვესტიციო ორგანიზაციები. მათ მიერ სხვადასხვა სფეროში დაბანდებულია 20 მილიარდი გირვანქა სტერლინგის (დაახლ. 30 მლრდ. დოლარის) ოდენობის თანხა, რომელიც ამ კოოპერატივთა წევრებს ეკუთვნის.

კიდევ ერთი წარმატებული სფეროა კოოპერაციის პრინციპებზე დაფუძნებული სამშენებლო საზოგადოებები (ბულდინგ სოციეტიები). 48 საზოგადოებაში დასაქმებულია 50000 მოსამსახურე, ამ საზოგადოებათა მიერ იმართება 320 მილიარდი გირვანქა სტერლინგის (დაახლ. 480 მლრდ. დო-



ადგილიც დაიმკვიდრა. ამის ძირითად მიზეზად სახელდება „ბანკების შორის რეალური კონკურენციის დაბალი დონე, მაღალი ტარიფები მოსახლეობისთვის, კლიენტზე ნაკლებად ორიენტირებული მომსახურება“.

კოოპერატიულ ფინანსურ ინსტიტუტებში კლიენტთა(კოოპერატივის წევრთა) ინტერესები უფრო მეტადაა გათვალისწინებული, განსაკუთრებით – გრძელვადიან პერსპექტივაში, ბანკებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ისწრაფვიან მოკლევადებში მაქსიმალური მოგების მიღებისკენ.

2011 წელს ქვეყანაში იყო კოოპერაციის პრინციპებზე მომუშავე 465 საკურედიტო კავშირი 87000 წევრით და 600 მლნ. გირვანქა სტერლინგის (დაახლ. 900 მლნ. დოლარის) ოდენობის შემნახველი ანაბრებით.

ლარის) ლირებულების უძრავი ქონება და 220 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (დაახლ. 330 მლრდ. დოლარი) დანაზოგი.

ინგლისში არის კოოპერატიული ბანკი. იგი ხელმძღვანელობს მომხმარებელთა მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსით.

სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობს 446 კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია 153700 წევრი; საქონელბრუნვამ 2010 წელს შეადგინა 4,4 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (დაახლ. 6,6 მლრდ. დოლარი). ინგლისის სოფლის მეურნეობა, ბროშურის ავტორთა თქმით, წარმოადგენს ქვეყნის ერთერთ ყველაზე კონკურენტულ გარემოს და ამასთანავე განიცდის საერთაშორისო სასურსათო ბაზრის ძლიერ გავლენას. ასეთ პირობებში კოოპერატივები ახერხებენ თავიანთ წევრთა ინტერე-



სების უკეთ დაცვას და კონკურენციის გაწვევას ტრანსნაცინალური კომპანიებისთვის.

ინგლისში კომპერატივები ფუნქციონირებს ბევრ ისეთ სფეროში, რომელიც ჯერ კიდევ უცხო და უჩვეულოა ქართული სინამდვილისთვის. ასეთია, მაგალითად, კომპერატიული სკოლები. მისი წევრები, მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად, არიან იმ თემის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელსაც ეს სკოლა ემსახურება. 2010 წელს რეგისტრირებული იყო 136 კომპერატიული სკოლა.

მოსახლეობის გარევეული ნაწილის აზრით, მხოლოდ თემის აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მეორე საინტერესო მაგალითია სასპორტო ორგანიზაციების, მათ შორის ფეხბურთის კლუბების, გადაყვანა კომპერატიულ საწყისებზე. ამჟამად ქვეყანაში არსებობს სპორტის მხარდამჭერთა 154 ჯგუფი. ისინი კომპერატიის პრინციპით ფუნქციონირებენ, მათში გაერთიანებულია 89000 წევრი.

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ „მანჩიჩერ იუნაიტედ“-ის ქომაგთა 83%-ს და „ლივერპული“-ს ქომაგთა 73%-ს მიაჩნია, რომ ეს კლუბები „უკეთეს ხელში აღმოჩნდებიან, თუ განდებიან კომპერატიული საკუთრება“, რადგან, გამოკითხულთა აზრით, კლუბების მართვა გარედან მოსული აქციონერების მიერ ხშირად იწვევს იმ მიზნებიდან გადახვევას, რისთვისაც ეს ორგანიზაციებია შექმნილი.

კიდევ ერთი სფერო, სადაც კომპერატიის კარგად მოიკიდა ფეხი, არის ენერგიის განახლებადი წყაროები. 1996 წელს ჩამოყალიბდა პირველი კომპერატივი, სადაც რამდენიმე სოფლის მცხოვრებთა ერთიანი სახსრებით აშენდა ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგური. ენერგიის ნაწილს მოიხმარეს კომპერატივის წევრები, დანარჩენს კი ჰყიდიან კონკურენტულ ფასად. ამ წამოწყების წარმატებამ ბიძგი მისცა ანალოგიური კომპერატივების ჩამოყალიბებას ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში.

ასანიშნავია, რომ ელექტროენერგიით მომარაგების და ვაჭრობის გარდა ეს კომპერატივები გადაიქცნენ ენერგოუფექტურობის და გარემოს-დაცვითი განათლების ცენტრებად.

კომპერატიული სექტორის წარმატების კვალობაზე იცვლება ინგლისის ხელისუფლების მიღებომაც – იგი აღიარებს კომპერატიის მზარდ როლს ქვეყნის ეკონომოკაში და მზადყოფნას აცხადებს მის მხარდასაჭრად. კერძოდ, მიმდინარე წლის იანვარში მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გაამარტივოს კომპერატივების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზა – ამჟამად მოქმედი 17 საკანონმდებლო აქტის ნაცვლად, კომპერატიის სფეროს დაარეგულირებს მათ საფუძველზე შექმნილი ერთი კანონი.

**სტატია მოვაწოდა
agrokavkaz.ge**

მცხვარება

ცხვრის სამთოებრბეგი შენახვა

ცხვრის შენახვა სამთო პირობებში რთული და შრომატევადი პროცესია, მთის აირობები ცხვარს მსაჭიროვან თანილი საღიროში „ზარბი“, სადაც პვება ღრმა ღრმა შრომატევადი პროცესია. ამ მხრივ მიღება გაგიზიარება ცხვრის ცხვრის საღორმის ახალი პრიცეპული გადაწყვეტა, რომელიც ცხვრისთვისაც და გეცხვარესთვისაც სასურველ პირობებს ქმნის.

სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობა ერთერთი ძირითადი და წამყვანი დარგია, რადგან იგი იძლევა იმდენი რაოდნენობის პროდუქციას, რომლის ფულადი ღირებულება უტოლდება სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებში წარმოებული პროდუქციის მთლიან ღირებულებას. ამასთან მეცხოველეობა მოიხმარს სასოფლო-სამეურნეო, კვების მრეწველობია და ა. შ. ანარჩენებს, რომელთა რაოდნენობა საკმაოდ დიდია. ამასთან მეცხოველეობა იძლევა

ისეთი სახის პროდუქტს, რომელიც აუცილებელია დამიანის ნორმალური ზრდა განვითარებისათვის და საქმიანობისათვის. ამითაა განპირობებული მეცხოველეობის როგორც ერთერთი წამყანი დარგის არსებობა.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, რომლის ძირითადი ფართობი მთებსა და გორებს წარმოადგენს, ამიტომ სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა მემცენარეობა, ძირითადად ბარში ან მცირედ 100-120-ზე დახრილ

ფერდობებზე მიმდინარეობას. საქსტატიის მონაცემებით საქართველოს მიწის ფონდი შეადგენს 7 628,4 ათასი ჰა-ია, რომლის 46% ბარის ზონაა, დანარჩენი კი მთის ზონას ეკუთვნის.

მთიანი ზონის დამრეცი ფერდობების უმეტესი ნაწილი გამოიყენება მეცხვარეობისათვის, რადგან ეს ცხოველი თავისი აგებულობის გამო ადვილად ეგუება ფერდობებს და ნაკლებია უბედური შემთხვევები, ვიდრე მსხვილფეხა-რქოსან პირუტყვიში. ამიტომ მაღალ მთებში ძირითადად მეცხვარეობაა პერსპექტიული, რაც ისტორიულადაც დასაბუთებულია.

დღეისათვის საქართველოში ცხვრის შენახვის ორი ფორმაა გავრცელებული: სამთაბარო და სამთო.

პირველ შემთხვევაში ცხვარი ზაფხულში აჰყავთ მთაში, ზამთარში ჩაჰყავთ ბარში. საქართველოში ცხვრის ასეთი ნესით შენახვა განსაკუთრებით მომგებიანი იყო იმ პერიოდში, როცა ჩვენი ცხვარის გამოზამთრება მიმდინარეობდა კასპიის ზღვის მახლობლად არსებულ „ყიზლარის“ საძოვრებზე. ცხვრის ასეთი შენახვა მოითხოვს შედარებით მცირე საკვებ ბაზას, რამაც უნდა შეამციროს ნარმოებული პროდუქციის თვითლირებულება, მაგრამ ცხვრის გადარევა-გადმორევაში ცხვარი იკლებს წინაში და ამასთან ადგილი აქვს პირუტყვის დანაკარგს.

ზამთარ-ზაფხულ სამთო შენახვის დროს, ცხვარი მთელი წლის მანძილზე მთაშია. ცხვრის ასეთი შენახვა, მოითხოვს დიდი რაოდენობით საკვების მარაგს თივის სახით და ცხვრის თბილ სადგომს – „ფარეხს“, რომელთა აგება საკმაოდ დიდ კაპიტალურ და შრომით დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც თავისი თავად აძვირებს ნარმოებულ პროდუქციას. ამ სახის და ცხვრისათვის საკვების დარიგებასთან დაკავშირებული შრომითი დანახარჯების შემცირების მიზნით გთავაზობთ ცხვრის სადგომის მოწყობის ახალ ვარიანტს, რომლის დროსაც თვით საკვებით ისე ხდება სადგომის მოწყობა, რომ ცხვარი, მთის პირობებში, მკაფი ზამთარშიც კი იყოს თბილათ, სადგომშივე შეიძლება მოეწყოს ავტომატური საწყურებელი, მაშინ მეცხვარის შრომითი დანახარჯები ცხვრის შენახვაზე ძალზე შემცირდება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ დამუშავებულია ცხვრის სადგომის (ფარეხის) ახალი კონსტრუქცია, რომლის მოწყობა არ მოითხოვს ტრადიციულ ისეთ საშენ მასალებს, როგორიცაა: ხი, ცემენტი, ხრეში, ქვიშა, „ბლოკი“ ქვა-კლდე, სახურავის მასალა, და ა. შ. მათი ტრანსპორტირება და მისი აგებისათვის საჭირო მუშახელი. მეცხვოველე ან მათი დამხმარე (საკვებმომპოვებელი) ადამიანები-ბრიგადა, ზაფხულის პერიოდში მთაშივე ანხორციელებენ, არსებულ სათიბ ფართობებზე გაკრცელებულ მაღალსარისხოვანი ბუნებრივი ბალახებისასაგან ამზადებენ თივას, რომლისგანაც ზვინებს დგავენ საციალურ კონსტრუქციაზე (სურ. 1). ამ კონსტრუქციაზე ზვინის დადგმის შემდეგ ვიღებთ ურთიერთ




სურ. 1. ცხვრის სადგომის თვით მოსაწყობი ლითონის კარგასის კონსტრუქციული სქემა, აქსონომეტრიაში.

პარალელურად განთავსებულ არკული ფორმის თავისუფალ სივრცეებს, რომელის სიგანე ცხვრების გეომეტრიული ზომებიდან გამომდინარე (სურ. 2) ისეთია, რომ ცხვარს შეეძლოს

ურთიერთ თავისუფალი გავლა და გადაადგილება, ელიფსური ფორმის სიღრუეში – „სადგომ-საძრომები“, ხოლო „სადგომ-საძრომებს“, შორის მანძილი, ცხვრის კისრისა და თავის ჯამური სიგრძის ტოლია

გაზაფხულის ჩათვლით, მთის პირობებისათვის დამახასიათებელი აფმოსფერული ცვალებადობის მავნე ზემოქმედებისგან. ამასთან ცხვარს მეცხვარის გარეშე შეუძლია ყოველდღიურად მიიღოს მისთვის საჭირო რაოდენობის საკვები და წყალი. ამისათვის ნინასნარ „სადგომ-საძრომებში“ მოწყობილია საწურუბლები, რომლებიც ერთ დონეზეა განლაგებული და წყლით მომარაგება განხორციელებულია წყლის მუდმივი დონის უზრუნველყოფის რეზერვუა-




სურ. 2. ცხვრის გეომეტრიული ზომები.


$$d=2(b+c)=2(0,25+0,15)=0,8 \text{ მ.} \quad \text{ცხვრის მზა „სადგომის“ ფორმა მიიღებს შემდეგ სახეს (სურ. 3).}$$

გამართული ცხვრის „სადგომ-საძრომი“ (სურ. 3) ცხვარს ზამთრის პერიოდში იცავს, როგორც მტაცებელი ცხვოველებისაგან, ისე გვიან შემოდგომიდან დაწყებული ადრე

რიდან, რომელშიც წყლის დონეს განსაზღვრავს მასში ჩაშვებული წყლის მილი, იგი მიერთებულია პერმეტულად დახურულ წყლის სალექარ-მარაგელა რეზერვუართან, დაკავშირებული უკუსარქველისა და სატუმბი სადგურის საშუალებით წყლის წყაროსთან (სურ. 3).



სურ. 2. საკვებში მოწყობილი ცხვრის სადგომი, ა. ხედი უკნიდან, ბ. ივივე გვერდებში.
1. თვის ზეზი სადგომით, 2. ზეზის ზედა პირის საფარი ცელოფანი, 3. პოლიეთოლენის აბსკის დამჭერი ბაგირები, 4. ზეზის გვერდითი მისაფარი პოლიეთოლენის აბსკი, 5. პოლიეთოლენის აბსკის ასახვევ გასაშლელი მოწყობილობა, 6. ასახვევ გასაშლელი პოლიეთოლენის აბსკი, 7. ცხვრის დამჭერ-დამცავი მავთულის ბადე.



სურ. 3. ა. ცხვრის „სადგომ-საძრომის სქემა, ზედნედში, წყალმომარავების ქსელით; ბ. „სადგომ-საძრომი წყალმომარავების ქსელით ნინებედში.

1. არკისებრი ფოლადის არკები-ცხვრის სადგომები, 2. თივა ზეინში, 3. ნარჩენურებელი, 4. ნელის ქსელური მილგამტარი, 5. მაგისტრალული მილგამტარი, 6. სანუსურულებელი ნელის მუდმივი დონის დამჭრი რეზერვუარი, 7. ნელის დონის დამჭრი მილი, 8. ონჯანი, 9. ჰერმეტულულ დახურული ნელის მარაველა-სალექარი რეზერვუარი, 10. ტივტივა, 11. ნელის დონის აეტომატური მართვის სისტემა, 12. სატუმბი სადგური, 13. უკუსარქველი 14. ნელის წყარო-მდინარე, 15. ჰერმეტულული ნელის მარაველა-სალექარი რეზერვუარის ნალექისაგან გასაწმენდი ონჯანი.

ცხვრის „სადგომ-საძრომების“ საერთო სიგრძის და ზვინის გეომეტრიული ზომების დასადგენად, ზამთრის პერიოდისათვის, როცა ცხვარი ვერ გაგვყავს საბალახოდ მინდოორში, მოცემული სულადობის ცხვრისათვის საჭიროა განვსაზღვროთ თივის მარაგის რაოდენობა, რომელიც გამოითვლება ტოლობით

$$Q_{\text{მ}} = D \cdot N \cdot q \cdot \frac{K_1}{K_2} \text{ კგ.} \quad (1)$$


სადაც D არის მთის პირობებში ზამთრის დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ცხვარი საძოვარზე არ გადის $D=240$ დღ./წელინაში;

N – ფარაში ცხვრის რაოდენობა, $N=1000$ სული;

q – ერთი ცხვრისათვის დღე-დამებში გამოსაკვებად საჭირო თივის რაოდენობა, პირობით საკვებ ერთეულებში, $q=1,3$ კგ;

K_1 – ცხვრისათვის ზამთარში გამოსაკვებად საჭირო საკვების მარაგის კოეფიციენტია, $K_1=1,12$;

K_2 – მთის პირობებში დამზადებული თივის კვებითი ლირებულება, $K=0,5-0,7$.



სურ. 4. ცხვრის „საძრომ-სადგომის“ ფორმის და გეომეტრიული ზომების სქემა ნინებედში.

1. ღრუ ფოლადის არკა, 2. ზოლოვ ზნა ფოლადი.

მაშინ მივიღებთ

$$\sum Q_{\text{მ}} = 240 \cdot 1000 \cdot 1,3 \cdot \frac{1,12}{0,5} = 69888 \text{ კგ.}$$

ასეთი რაოდენობის თივის ზვინის მოცულობა ტოლი იქნება

$$V_1 = \frac{Q_{\text{მ}}}{\gamma} \text{ მ}^3. \quad (2)$$

სადაც γ არის ზვინში თივის კუთრი მოცულობითი ნონა, რაც დამოკიდებულია თივის სახეზე და ზვინის h_1 სი-

მალლებზე, დავუშვებთ, რომ $h_1=6,5\theta$, და რომ $\gamma=60-75 \text{ კგ/მ}^3$ და ავიღებთ $\gamma=67 \text{ კგ/მ}^3$, მაშინ მივიღებთ

$$V_1 = \frac{69888 \theta}{67} \approx 10431 \theta^3.$$

თუ ცხვრის „საძრომ-სადგომის“ პარამეტრებს ავირჩევთ იმ თვალ-საზრისით, რომ გავითვალისწინებთ ცხვრის მდგომარეობას „საძრომ-სადგომში“ ყოფილისას, სადაც მან თავისუფლად უნდა შეძლოს საკვების მილება „საძრომ-სადგომის“ მთელ პერიოდზე, მაშინ „საძრომ-სადგომის“ პარამეტრები განივევეთში ექნება შემდეგის სახე (სურ. 4).


ელიფსური არკის დასამზადებელი ღრუ მილოვანი მასალის სიგრძე გამოითვლება ტოლობით

$$\begin{aligned} \ell_1 &= \pi \cdot \left(b_{\frac{1}{2}} + h_1 \right) = \\ &= 3,14 \cdot \left(\frac{1,5}{2} + 1 \right) \approx 5,5 \text{ მ}^3. \end{aligned} \quad (3)$$

ერთი ცხვრისათვის სადგომის ფართი f ზოლოტექნიკური თვალსაზრისით ჯიშისა და ასაკის მიხედვით მიღებულია $f=(1,2-1,3) \text{ მ}^2$, ავიღოთ $f=1,25 \text{ მ}^2$, მაშინ „საძრომ-სადგომის“ საჭირო საერთო ფართი 1000 სულიანი ფარისათვის ტოლი იქნება $F_2=1,25 \times 1000=1250 \text{ მ}^2$. (სურ. 4)-დან გამომდინარე „საძრომ-სადგომების“ საერთო ჯამური სიგრძე ტოლი იქნება

$$\sum \ell_2 = \frac{1250}{1,5} \approx 834 \text{ მ}$$

თუ ზვინის – „საძრომ-სადგომების“ სიგანეს ავიღებთ $d=15 \text{ მ-ს}$, მაშინ ერთ „საძრომ-სადგომში“ შესაძლებელია განვათავსოთ n_1 რაოდენობის ცხვარი, რომელიც ტოლია



სურ. 5. მეცხვარეობის გენეგემა წყალგაყვანილობის სქემა, ზედნედში.

$$n_1 = d \cdot \frac{b}{f} = \frac{15.1,5}{1,25} = 18 \text{ ცხვარი. (4)}$$

1000 სულიანი ფარისათვის „საძრომ-სადგომების“ რაოდენობა ტოლი იქნება

$$n_2 = \frac{1000}{18} \approx 56 \text{ „საძრომ-სადგომი“.}$$

ზვინის საჭირო ჯამური სიგრძე გა-
მოითვლება ტოლობით

$$\ell_3 = n_2 \cdot b_1 + [(n_2 - 1) \cdot (b+c)] + 2\epsilon \quad (5)$$

სადაც b_2 არის ცხვრის კისრისა და
თავის ჯამური გაორმაგებული სიგა-
ნე, $b_2 = 0,8\delta$;

ϵ – ზვინის – „საძრომ-სადგომების“
დასაწყისსა და დასასრულს ზვინის
სიგანე, $\epsilon = 18$.

$$\ell_3 = 56 \cdot 1,5 + [(56 - 1) \cdot 0,8] + 2 = 130\delta.$$

თუ 1000 სულიან ცხვრის ფარას
განვათვავსებთ 2 „საძრომ-სადგომში“,

მაშინ თვითეულის სიგრძე იქნება 65
მ. და ყველ მათგანში განთავსდე-
ბა 500-500 სული ცხვარი. თვითეულ
ზვინის უნდა მოეწყოს 28-28 „საძ-
რომ-სადგომი“.

ზვინის მიერ დაკავებული მოცუ-
ლობა ტოლი იქნება

$$\sum V = V_1 + V_2 \delta^3. \quad (6)$$

სადაც V_2 არის „საძრომ-სადგო-
მების“ მიერ დაკავებული მოცულო-
ბა, δ^3 .

V_2 გამოითვლება ტოლობით

$$V_2 = \pi \cdot \frac{b_1}{2} \cdot h_1 \cdot \ell_3 = \\ = 3,14 \cdot \frac{1,5}{2} \cdot 1 \cdot 130 \approx 306 \delta^3. \quad (7)$$

მაშინ (6) ტოლობის საშუალებით
მივიღებთ

$$\sum V \approx 10431 + 306 = 10737$$

მეცხვარეობის ფერმის განთავ-
სებისათვის უნდა შეირჩეს ისეთი
ადგილი, რომელიც ახლოსაა წყლის
წყაროსთან, რომლის გამოყენება
შესაძლებელია ფერმაში, იგი არის
სწორი და დახრილი 2-3%, რომელ-
ზეც სადგომები – „თივის ზვინები“
თარაზულადაა განთავსებული ისე,
რომ გაბატონებული ქარები, ზო-
ტექნიკური მოთხოვნების შესაბამი-
სად, მოქმედებდეს ზვინის სიგანეზე,
ამასთან სასურველია სადგომის სიგ-
რძე განთავსებული იყოს სამხრეთის
მიმართულებით. წარმოდგენილია
(სურ. 5).

აღალები მოწვევილი

სოფლის მეურნეობის სამუცნიერო-
კვლევითი ცენტრი

ახალგაზრდა საეცილისათი

ფრანგული გამოცდილება და ჟართული კლიმა

ერთობიანი სტაჟირება ფრანგული გამოცდილებაზე, რაზე იყენებს მიღებებს და რა გეგმები აქვთ აქვთ

განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეო-
ბას ახალი ტექნოლოგიების მცოდნე
ახალგაზრდა პროფესიული კადრები
ჰქონივით სტაჟირება. ამის მიღწევის
ერთ-ერთი გზა შეიძლება გაცვლითი
(სტაჟირების) საერთაშორისო პროგ-
რამების საშუალებით, რაც ხშირად
სცილდება აგრარულ დარგის საზღ-
ვრებს, წარმატებული აგრობიზნესის
და მენარმის ჩამოყალიბების საწინ-
დარი ხდება. ამას რასაკვირველია
ხელს უწყობს ფერმერებისა და მეც-
ნიერების, პრაქტიკოსებისა და მკვლე-
ვარების სინერგია და მათი თანამშ-
რომლობა, სადაც აგრარული კომპა-
ნიები და მეცნიერება ერთად ქმნიან
ახალ სასურსათო სისტემებისა და
ტექნოლოგიებს.

ამ გადასახედიდან გვინდა მო-
გითხროთ „ფერმერთა უფლებების
დაცვის ასოციაციის“ (AFRD) პარტ-
ნიორი ქვეყნის, საფრანგეთის სოფ-

ლის მეურნეობის სტაჟირების და
გავლით მსოფლიო ორგანიზაციის
პროგრამაში (Service des échanges
et des Stages agricoles dans le monde, SESAME) მონაწილე ასოციაციის

წევრის, ახალგაზრდა ფერმერ ილია
ბერიძის ფრანგული და შვეიცარიუ-
ლი გამოცდილების ისტორიაზე.

ილია ბერიძე საქართველოს ისტო-
რიული მხარის, მესხეთის ულამაზეს
კუთხეში დაბა ასპინძაში 1977 წლის
21 ოქტომბერს დაბადა და აქვე და-
ამთავრა საშუალო სკოლა. უმაღ-
ლესი განათლება თბილისის ჰუმა-
ნიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში,
საგადასახადო საქმის სპეციალო-





ბით მიიღო, გავლილი აქვს სასწავლო კურსები და ტრენინგები სარძეო მეცხოველობისა და მომშენებლობის საკითხებში. მისი პობი სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების შესწავლა და სამამულო წარმოებაში დანერგვაა. განსაკუთრებით მოგზაურობა იტაცებს, ჰყავს მეუღლება და ორი შვილი.

— რატომ დაინტერესდით სოფლის მეურნეობით, ვეკითხები ილია?

— მშობლები სამსახურეობრივი მდგომარეობის მიხედავად მინათმოქმედებას და მესაქონლეობას ეწოდნენ, ბავშვობიდან ვაკეირდებოდი მათ მუხლჩაუხრელ შრომას, ასევე პაპა და ბებო ჩემთვის საუკეთესო მაგალითის მომცემი და მასწავლებლები იყვნენ და მეც მათ მაგალითზე გავიზარდე.

— ავრარული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება ხად შეიძინე?

— აგრარული განათლება შვეიცარიაში, კანტონ გრაბუნდენში ოთხთვიანი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მივიღე. შვეიცარიაში გავიარე მეცხოველობის ძირითადი კურსები, სადაც სტაურების დროს საშუალება მქონდა პერიოდულად მევლო შვეიცარიის სოფლის მეურნეობის უმაღლეს სკოლაში — პლანტაციებში და ჩემს უცხოელ კოლეგებთან ერთად გავცნობოდი სოფლის მეურნეობის უახლოეს ტექნოლოგიებს, ინოვაცებს და მათ მიღწევებს.

ასევე ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მათი როგორც ალპური მეცხოველობის ტრადიციული გამოცდილება, მერძევეობის, შვეიცარიული ყველის ტექნოლოგიები, კვების და გენეტიკური აღწარმოების საკითხები.

იმის გამო, რომ ფერმერები საქართველოშიც, საფრანგეთშიც და სხვა ქვეყნებშიც კონსერვატორები არიან, ამიტომ საფრანგეთში ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებუნ საჩვენებელ-სადემონსტრაციი მეურნეობებს და ფერმებს, გამოფენა-გაყიდვებს, სადაც ფერმერებს შეუძლიათ საკუთარი თვალით ნახონ, როგორც მიღწეული შედეგები, ისე პროდუქტები, დააგემონონ ის, უშუალოდ გაეცნონ ამ სიახლეების თუ ტექნოლოგიების ავტორებს და გაესაზღონ მათ, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიღწევების საკუთარი თვალით ნახვა და აღქმა საქართველოს ფერმერებისთვის, ცალკეული გამონაკლისების გარდა, თითქმის მიუღწეველია, არადა სწორედ ასეთ გაცვლით, კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, დროის მცირე მონაცემთში, შეუძლიათ ცოდნის გადაცემა, რაც მე შევძლი ამ პროგრამების ფარგლებში.

— როგორ მოხვდით ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის (AFRD) და საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სტაურების და გაცლით პროგრამის მსოფლიო ორგანიზაციის (Service des échanges et des Stages agricoles dans le monde, SESAME) პროგრამაში?

— შვეიცარიაში სტაურების ვადის ამომწურვის შემდეგ, დავინტერესდი სხვა ქვეყნების გაცვლითი პროგრამებით. საქართველოს ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის (AFRD), რომლის წევრიც 2003 წლიდან გახლდით, წარმატებით გავიარე ახალგაზრდა ფერმერთა და სტუდენტთა სტაურების კონკურსი, შემარჩიეს (Service des échanges et des Stages agricoles dans le monde, SESAME)

პროგრამის სტაურიორად საფრანგეთში გასაგზავნად, რომელთა პარტნიორი და წარმომადგენელი საქართველოში 2000 წლიდან „ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია“.

ჩემი შვეიცარიული გამოცდილებით და ახალი შემართებით 2005 წელს ერთი წლით გავემგზავრე საფრანგეთში, კერძოდ ქალაქ ბეზანსონთან ახლოს მდებარე სოფელში – ARC-SOUS-CICON, სადაც საუკეთესო ფერმერული გამოცდილება და ცოდნა მივიღე. მათ ტრადიციებსა და წესებთან ერთად ფრანგული ენაც შედარებით უკეთ შევისწავლე.

ჩვენგან განსხვავებით ფრანგი ფერმერები და კოოპერატივის წევრები ხშირად აზყობდნენ სხვადასხვა ფესტივალებს და კონკურსებს, გამოფენა-გაყიდვებს, სადაც ადგილობრივ ფერმერებს გამოაქვთ თავიანთი წარმოებული საუკეთესო ახალი პროდუქტები, ახალ სერვისებს ან ინოვაციებს აცნობდნენ ერთმანეთს.

ჩემი მასპინძელი ფერმერი საფრანგეთის ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ჯიშის მოშენებას მისდევდა, როგორიცაა „მონტებელიარდი“, რომელიც ძირითათად ბაგურ შენახვაზე ჰყავდა, თუმცა უცვლიან მოციონს, გაპყავთ საძოვარზე, რაც ცხოველის ჯანმრთელობისთვისაც კარგია და რძესაც არმატულსა და გემრიელს ხდის.

საქართველოს პირობებს მონტებელიარდის ჯიში შესანიშნავად შეეგუება. იმის გამო, რომ პოლმტერინის ჯიშის ძროხებს მხოლოდ ბაგური შენახვის პირობებში ინახვენ და ისინი ვერ ეგუებიან მოციონს, საძოვარზე გადარეკვას, ამიტომ მათთან შედარებით მონტებელიარდი მოთანი რეგიონის ფერმერული მეურნეობისთვის საუკეთესო ჯიშია.

სტაურებას გავდიოდი ARC-SOUS-CICON-ში ადგილობრივ ფერმერ დომინიკ პურსელოტთან, რომელსაც იმ დროისთვის საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში 60 სული მეწველი ფური ჰყავდა. ამას გარდა ზრდიდა 25 სულ ერთ წლამდე და 45 სულ 2-3 წლის მოზარდსაც. ასევე ოჯახს ჰქონდა საუკეთესო საოჯახო სასტუმრო, სადაც დასასვენებლად ჩამოდიოდნენ, როგორც საფრანგეთიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

მეც ყოველ საღამოს ჩვენს ადგილობრივ სტუმრებთან და ტურისტებთან ერთად მიწევდა ვახშმობა, უცხოელებიც და ფრანგებიც ვერ

მაღავდნენ გაოცებას, თუ როგორი საუკეთესო ურთიერთდამოედებულება გვქონდა მე და ბატონ დომინიკ პურშელოტს ერთმანეთის მიმართ.

- სწავლის პერიოდს როგორ გაიხსენებდით?

- იმის მიუხედავად რომ მანამდე საზღვარგარეთ სწავლის და ცხოვრების მქონდა გამოცდილება, საფრანგეთში თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგანაც გამართულად არ ვიცოდი ფრანგული ენა. მაგრამ ენას მალევე ავულე ალლო, ორ თვეში უკვე საკმაოდ გამართულად ვლაპარაკობდი ფრანგულად და სწავლაც და სტაურებაც ბევრად სახალისო გახდა.

ჩემი უშუალობის და გულახდილობის გამო, სტაურების დროს ძალიან ბევრ წარმატებულ ადგილობრივ ფერმერს, მეწარმეს, სოფლის მცხოვრებს და თავად იმ სოფლის მერსაც დავუახლოვდი. ყოველთვის სიამოვნებით ვისხენდ მათთან ურთიერთობისას, მიღებულ გამოცდილებას და რჩევებს, რაც ძალზე გამომადგა შემდგომ საქმიანობასა და კარიერაში.

- მაინც რა გამოცდილება და ცოდნა მიიღეთ საფრანგეთში სტაურების დროს?

- საფრანგეთში სტაურებისას საკმაოდ მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება შევიძინე, როგორც მსხვილფეხა პირუტყვის მოვლის, ასევე მათთვის დაბალანსებული საკვების დამზადებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლის მხრივ.

ყველის მიმართ ფრანგების დამოკიდებულება ყველაზე იცის. ფრანგულ ყველის იმიჯი და ფენომენი მეცხოველეობის სწორად დაგეგმვით, სწორ მენეჯმენტით, ვეტერინარიის, ჰიგიენისა და ჯიშური მახასიათებლების სწორი დაგეგმვით, ყველა ამ საჭირო ლონისძიებების განხორციელებით, რაც საბოლოოდ საუკეთესო ხარისხის ყველის მომზადებისა და მომწიფების საფუძველი ხდება.

გაგახსენება შარლ დე კოლის ცნობილი გამონასახელმს: „როგორ რთულია მართო ქვეყანა, რომელსაც 300-მდე სახეობის ყველი აქვს?

ასევე საფუძვლიანად შევისწავლე სასოფლო სამეურნეო ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან მუშაობა: როტაციული სათიბი სისტემის მართვას, თივის შრობის ტექნოლოგიას, სათიბი ნაკვეთების საგაზაფხულოდ მომზადებას, პოლიეთოლენის პარკებში

სილოსის დამზადებას, თანამედროვე კვების ტექნოლოგიების საფუძველზე პირუტყვის პროდუქტიულობის და ეფექტუანობის ზრდისა და მათი გენეტიკური აღწარმოების საკითხებს.

განსაკუთრებით მინდა ავლიშნო ჩევრი მასპინძელი ორგანიზაციის (Service des échanges et des Stages agricoles dans le monde, SESAME) საქართველოს ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის მუდმივი თანადგომა და კავშირი, გამოხატული ყურადღება წებისმიერი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრის დროს.

- დღეს რას საქმიანობა, როგორ გამოვადგათ საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება?

- ჩევრი საოჯახო მეურნეობის გარდა, ამჟამად დასაქმებული ვარ საბანკო სფეროში, კონკრეტულად ვმუშაობ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ ბორჯომის ფილიალის მმართველის პოზიციაზე. აღსანიშნავია ის რომ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ყოველთვის მეხმარებოდა და მეხმარება, როგორც კარიერულ ზრდაში ასევე მომხმარებლებთან, ძირითადად კი ჩევრის ფერმერებთან და რიგით ადამიანებთან უშუალო ურთიერთობების ჩამოყალიბებაშიც კი, რადგან ჩემი ყოველდღიური სამსახურეობრივი საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება აგრო ბიზნეს, აქ დასაქმებულ ადამიანებს, მათ ყოველთვის უზრიანეს ცოდნას ახალ ტექნოლოგიებზე, მიღებულ გამოცდილებაზე. ვერძნობ რომ მათთვისაც საინტერესოა იმ ადამიანთან ურთიერთობა, რომელმაც სულ ახლახანს მიიღო საზღვარგარეთ, მათაც ბევრი რამ აინტერესებთ, მეც ვპასუხობ, სწორედ ეს გამოცდილება მეხმარება ბიზნეს გეგმების,

საფინანსო-საკრედიტო საკითხების მოგვარებაში.

ერთ სახალისო ამბავსაც გავიხსენებ: საფრანგეთში სტაურებაზე გამგზავრების წინ, იმის გამო რომ (Service des échanges et des Stages agricoles dans le monde, SESAME)-ს მიერ წარმოდგენილი მოწვევისა და დოკუმენტაციის საფუძველზე ვითხოვდი საფრანგეთის ერთ წლიან ვიზას, საფრანგეთის საკონსულოს კულტურის განცოცილების ატაშემ ჩემთან გასაუბრება მოითხოვა, აინტერესებდათ რა დონეზე ვფლობდი ფრანგულ ენას. იმის გამო, რომ ფრანგული ენის შესწავლისთვის სათანადოდ ვერ მოვიცალე, რაც პროგრამის აუცილებელი მოთხოვნა იყო, ცოტაც ვიზარმაცე, კულტურის ატაშემ მომთხოვა პიოვრაფია ფრანგულად მომეყოლა, თან დამერნებულებინა, რატომ მსურდა საფრანგეთში წასვლა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება. ამის გაგონებაზე წამოვდექი ფეხზე და ვუთხარი, რომ მე ამ ყველაფერს სამწუხაროდ ფრანგულად ვერ ავუსხინიდი, რადგანაც არ შემძლო ფრანგულად გამართულად ლაპარაკი და ვუთხარი რომ, გერმანულად დაგელაბარაკებოდი, რადგან ამ ენას საკმაოდ კარგად ვფლობდი და გერმანულად ვუთხარი რომ, აღარ მინდოდა საფრანგეთში წასვლა და ამ პროექტში მონაწილეობის მიღება და ვთხოვე რომ ჩემი საბუთები დაებრუნებინათ უკან, ატაშემ გაკვირვებულმა შემომხედა, მთხოვა რომ დამეწყო ფრანგულად და თუ ველარ შევძლები, გამეგრძელებინა გერმანულად. დაახლოებით 7 წუთის განმავლობაში ვუყვებოდი გერმანულად თუ რატომ მსურდა ამ პროექტში მონაწილეობის მიღება და რა მოლოდინები მქონდა საფრანგეთში სტაურების შემდეგ ფრანგებისთვის კიდევ რამდენიმე კითხვაზე



ხან ინგლისურად გავეცი პასუხი, ხან გერმანულად, ხოლო ფრანგულში გამიჭირდა, ვუთხარი: კარგით რა? ინგლისურად გაპასუხეთ, გერმანულად გიპასუხეთ, ფრანგულად გამიჭირდა, ფრერმერი ვარ თუ პოლიგლოტი მეთქი. რაზეც გულიანად იცინა, ფეხშე წამოდგა და მითხრა, – რასაც ახლა გეტყვი, იმედი მაქვს, არ გენტყინება: ან ძალიან ჭკვიანი ადამიანი ხარ ან კიდევ ძალიან სულელი, სამი წელინადია საფრანგეთის საკონსულოს კულტურის განცილებას ვხელმძღვანელობ და ესეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია, რომ ადამიანს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე ფრაზა იცის ფრანგულად, შეძლო უცხო ენებზე დავერწმუნებინე, რატომ სურს საფრანგეთში ჩასვლა და ცოდნის გაღრმავება. ხელი ჩამომართვა, წარმატება მისურვა და მითხრა, რომ დადებით დახასიათებას მაძლევდა და მიწევდა რეკომენდაციას საკონსულოში გრძელვადიანი ვიზის მისაღებად... ამით ჩემში კიდევ ერთხელ დაინგრა მითი ფრანგების გულცივობაზე. დიდი მადლობა მათ ამ შესაძლებლობისთვის.

– როგორ გეგმები გაქვთ და რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს მომავალში?

– შვეიცარიიდან ჩამოვიტანე მცირე გაბარიტიანი სათიბელა (რადგან ჩვენი ჩვენი მეურნეობის რელიეფისთვის მეტად ეფექტიანია), რომლის მეშვეობითაც დღემდე თავის დროზე ვამზადებ ჩვენი მეურნეობისთვის ხარისხიანი თივას, რაც მეხმარება მსხვილფეხა პირუტყვის პროდუქტულობის გაზრდაში, როგორც, ხარისხიანი რძის წარმოების ისე პირუტყვის სუქებაში. საფრანგეთშიც ფრერმერების უმრავლესობას არ აქვთ თივის საშრობები. ამის ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ, ეს ჩვენ ფრერმერებსაც გამოადგებათ. ერთხელ რომ საკამაოდ დიდი რაოდენობის თივა დავამზადეთ, მაგრამ სათანადოდ გაშრობა ვერ მოვასწარით და უამინდობის გამო ნოტიო თივის დაბინავება მოვინია. რადგან თივა სასურველ კონდიციამდე გამომშრალი არ იყო, ორ დღეში დაიწყო ჩახურება და დალპობა. ძალიან განერერიულდი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩემი შრომა მენანებოდა. ბატონ დომინიეს ვუთხარი: თივა გვიფუჭდება, საერთოდ არ ნერვიულობ და რაშია საქმე მეთქი? მან კიდევ სრულიად აუღელვებლად მითხრა, რომ ამ პრობლემას ჩემი დახმარებით მოაგვარებდა თუ დავხმარებოდი და თივაზე ერთად დავთესავდით (მოვაყრი-

დით) ჩვეულებრივ ტექნიკურ მარილს. ეს ყველაფერი დიდი გულმოდგინებით გავაკეთეთ და მეორე დღეს უკვე იგრძნობოდა რომ პრობლემა გვარდებოდა და ჩემს კითხვაზე თუ რატომ გავაკეთეთ ასეთი რამ, დომინიერა მითხრა, რომ ზამთარში თავადვე გავცემდი დასმულ კითხვაზე პასუხს (თავად არ სურდა ჩემთვის მზა პასუხის მოცემა). მართლაც, დადგა ზამთარი და ის თივა ისეთივე ხარისხიანი აღმოჩნდა, როგორიც კარგად გამომშრალ-დაბინავებული თივა, რის გამოც, რამოდენიმე დღე, კვლავ გაკვირვებული გიყვავი. ბატონი დომინიე კი ამ ყველაფერს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა და წუთებს ითვლიდა თუ მე როდის ამოვხსნიდი ამოცანას. რამდენიმე ხნის შემდეგ ვეუბნები: მე ამოვხსენი ეს მოვლენა, რომ გამოუმშრალ (სველ) თივაზე დაყრილი მარილი თანდათან ჩადნა და ჩახურებული თივა გააშრო. მიგხვდი, როგორც დამარილებული ხორცი არ ფუჭდება და შრება, მარილმა თივაზეც ანალოგიურად იმოქმედა. ამის გამონება ბატონი დომინიე სიხარულით ცას ენია, მთელ „კოლპერატივს“ და სოფელს მოსდომ ჩემი პასუხი „დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენთანაც ხშირია მსგავსი შემთხვევები და დაბინავებული თივის ხელახლა დაშლა-გაშრობა გვიწევს. მას შემდეგ, ვისაც მე ვიცნობ და მიჯერებს, ალარ გვაქვს მსგავსი პრობლემები, რადგან საჭიროების შემთხვევაში ზემოაღნიშულ ფრანგულ მეთოდი უტყუარ შედეგს იძლევა.

ასპინძიში თავიდან ძალიან უკვირდათ ჩემი ასეთი ქმედება, მაგრამ ვინც დამიჯერა, ყველა კმაყოფილი დარჩა. ასევე აქტიურად ვიყენებ ხბოების რძით კვების ტექნოლოგიასაც, როდესაც 3 თვეში შესაძლებელია 100 კილოგრამამდე წონამატეს მიაღწიო და შესაბამისად, საკმაოდ ხელსაყრელ ფასად შეძლო მათი გაყიდვა.

აგროტურიზმი ძალზე საინტერესო ბიზნესია, მითუმეტეს ვარძია-რაბათის მიმართულებით, რაშიც საკამაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება მივიღე, მაგრამ ეს ცოტა სამომავლო გეგმებია, თუმცა ნამდვილად დავიწყებ მის ხორცშესხმასაც.

**მარიამ გოგიანავალი,
თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და
ბიზნესის ადმინისტრაციის
მაგისტრატურის სტუდენტი**



წალი თქვენს სამსახურში

ინვეტი
ტრაქი

ცხოველთა მოგება და ჰანმითადობა



კომანია „ინვეტი“ - 20 წელიწადი ფირმის გარემოებაზე ერთად

კომანია „ინვეტი“ დაარსებილა 20 წელი შეუსრულდა. დღეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი თანამედროვე დასაცავი არინდია გვიანდებით მომუშავე ვალიური კომპანია, რომელი საც ქვეყნის ბაზარზე დაგრძის, მოცემვილობის განვითარებაში მიზანი ცვლილი შეაძლო. მაგრამ გარემოების ცვლილი შეაძლო.

დღევადებით „ახალი აბრარული საქართველოს“ სტუმარი კომანია „ინვეტის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი დავით გალაშვილია.

- ბატონი დავით, როდის დაარსდა კომპანია „ინვეტი“?

- მოგეხასალმებით, კომპანია ინვეტი 2001 წელს დაარსდა. ახალგაზრდა მეცნიერების ჯგუფმა გადავწყვიტეთ, რომ გარკვეული ვეტერინარული სერვისები, რაც იმ პერიოდისთვის არ არსებობდა საქართველოში, შეგვეთავაზებინა ფერმერებისთვის. დავაარსეთ „მეცნიერებულის მომსახურების ცენტრი“ გარკვეულ სავეტერინარო პროდუქციასთან ერთად, რომლის რეალიზებიდან შემოსული თანხით შევინახავდით მომსახურების ცენტრს და ფერმერებს შევთავაზებდით თანამედროვე სერვისებს, რაც იმ პერიოდისთვის ჩვენში დიდი სიახლე იყო.

მოგეხსენებათ, მაშინ ინტერნეტი ახალი შემოსული იყო და დავინცეთ ინფორმაციის მოძიება მსოფლიოში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მათი დანერგვა-გამოყენების შესაძლებლობებზე საქართველოში.

იმ დროს ვეტერინარია მთლიანად სახელმწიფო სამსახურს წარმოადგენდა, თუმცა ქვეყანაში უკვე არსებობდა რამოდენიმე ოპერატორი, რომლებიც ამ დარგში ბიზნესის თვალსაზრისით საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდნენ, როგორც საქართველოს, ისე მთლიანად კავკასიის რეგიონში და ჩვენთვის ესეც კარგი სტი-

მული და უბრალოდ ამ სფეროში შევეცადეთ შეგვექმნა ვეტერინარული სერვისების კომპლექსური პაკეტი და ამ მიმართულებით განვითარებულიყოვით.

- ვინ არიან კომპანიის დამფუძნებლები, სად მოიძევთ სპეციალისტები?

- იმ პერიოდშიც და დღეს ჩვენს კომპანიაში ძალიან ბევრი ვეტერინარი მუშაობდა და მუშაობს. როცა პირველ ნაბიჯს ვდგამდით, ასპირანტურის სტუდენტი ვიყავით; ასპირანტურის მეგობრებმა 2-3 ადამიანმა დავინცეთ ამ ბიზნესის ფორმირება.

- ვინ არის დღეს „ინვეტის“ გუნდი, რამდენი კაცია დასაქმებული კომპანიაში?

- როგორც გითხარი 2-3 სტუდენტით დაწყებული ბიზნესია. თითქმის მთელი სამეცნიერო იყო ჩართული პროცესში. ყველა, როგორც შეეძლო ისე გვეხმარებოდა, რამოდენიმე მათ-

განი დღეს უცხოეთშია, ერთი საკმაოდ წარმატებული სამეცნიერო კარიერა აქვს, მოლეკულური ბიოლოგის და ვეტერინარიის წამყვან ლაბორატორიაში მუშაობს. სათაო და შვილბილ კომპანიებში დღეს უკვე 200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ქვეყანაში ამ დარგში ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიას წარმოვადგენთ.

ზუსტად ის პრინციპი და ხედვა, რაც ჩვენ 2001 წელს დავისახეთ, აღმოჩნდა სწორი რამაც საშუალება მოგვცა სწორი გზით გვევლო და მაქსიმალურად გვეპასუხს იმ გამოწვევებისთვის, რასაც განვითარების 20 წლიან პერიოდში გავდიოდით.

- განვითარების რა გზა გაიარა კომპანიამ, როგორი ვითარება იყო ქვეყანაში სავეტერინარო კუთხით იმ დროს, როცა კომპანია პირველ ნაბიჯებს დგამდა?

- მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში როგორი მძიმე ვითარება იყო. საბჭოთა კავშირი დაინგრა, სერვისების მიწოდება თითქმის შეწყდა, ქვეყანა გარესამყაროს მოწყდა, მსოფლიო კი ვითარდებოდა, ვეტერინარული სფერო სულ უფრო იზვენებოდა, ცხოველთა მოვლა-შენახვის, მკურნალო-





ბის ახალი მიდგომები ინერგებოდა, საქართველოს კი ყოველივე ამ სიკეთეებზე ხელი არ მიუწვდებოდა და მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული. თითზე ჩამოსათვლელი უცხოური კომპანიებიც რუსეთის გავლით ურთიერთობდნენ საქართველოსთან.

ფაქტის წინაშე დავდექით და იძულებული ვიყავით გარკვეულ ეტაპზე გვეთანამშრომლა რუსულ კომპანიებთან, მაგრამ მერე სულ უფრო გაიხსნა გზები, ინტერნეტიც მეტად ხელმისაწვდომი გახდა. ვუკავშირდებოდით მსოფლიოს მაღალი დონის კომპანიებს, რომლებიც მხოლოდ პროდუქციას კი არ გვთავაზობდნენ და გვაწვდიდნენ, არამედ გვთავაზობდნენ ტექნოლოგიებს, გვეხმარებოდნენ განვითარებაში, ცოდნის შეძენაში, ხშირად სრულიად უფასოდ გადასამზადებლად მიჰყავდათ ჩვენი თანამშრომლები. მოკლედ, სულ უფრო აქტიურად ჩავერთოთ ამ საერთაშორისო ქსელში, სადაც ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზების მოძიება ხდებოდა, რაც ჩვენ ქვეყანას, დარგს აწუხებდა. აქტიურად ვმონაწილეობდით საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციები, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, რომლებიც წარმოიდგინებოთ საერთაშორისო ქსელში, სადაც ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზების მოძიება ხდებოდა, რაც ჩვენ ქვეყანას, დარგს აწუხებდა. აქტიურად ვმონაწილეობდით საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციები, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, რომლებიც წარმოიდგინებოთ საერთაშორისო ქსელში, სადაც ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზების მოძიება ხდებოდა, რაც ჩვენ ქვეყანას, დარგს აწუხებდა. აქტიურად ვმონაწილეობდით საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციები, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, რომლებიც წარმოიდგინებოთ საერთაშორისო ქსელში, სადაც ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზების მოძიება ხდებოდა, რაც ჩვენ ქვეყანას, დარგს აწუხებდა. აქტიურად ვმონაწილეობდით საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციები, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, რომლებიც წარმოიდგინებოთ საერთაშორისო ქსელში, სადაც ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზების მოძიება ხდებოდა, რაც ჩვენ ქვეყანას, დარგს აწუხებდა. აქტიურად ვმონაწილეობდით საერთაშორისო ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა. სწორედ ამან მოგვამზადებინა ნიადაგი და დავიწყეთ წელ-წელა იმ ბრენდების საქართველოში შემოყვანა, რომლებიც მხოლოდ პროდუქციას

კი არ გვაწვდიდნენ, არამედ ტექნოლოგიები და მაღალი საეტერინარო კულტურა შემოჰქონდათ ქვეყანაში. შემდეგ ეტაპზე ეს ტექნოლოგიები, გამოიყენები, სიმპოზიუმები, კონფერენციები ჩვენი კლიენტებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა და ჩვენც ვინვევდით ჩვენ კლიენტებს, ვეტერინარებს (ფერმის ვეტერინარი იქნებოდა თუ რეგიონის ვეტერინარი). ვაძლევდით საშუალებას უშუალოდ მწარმოებლებისგან მიეღოთ ინფორმაცია, ადგილზე გაცნობიდნენ მათი მუშაობის სტილს, მეთოდებს და სავეტერინარო კულტურას.

ახლა რომ გადავავლოთ თვალი, რა იყო ვთქვათ 20 წლის წინათ და რა არის დღეს, როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდება. მინდა გითხრათ, რომ დღეს, რაც მაშინ საოცნებო იყო ჩვენთვის, დღეს უკვე ხელმისაწვდომია, ჩვენი ფერმერებიც უფრო მომზადებული და გაცნობიერებულ აქვთ თუნდაც პრევენციული, სანიტარულ-ჰიგიენური წესების მნიშვნელობა და დაცვა.

დღეს სულ უფრო მეტი გამართული, ტექნოლოგიურად აღჭურვილი ფერმაა ქვეყანაში, სადაც ვეტერინარული ღონისძიებები და შრომის ორგანიზაცია თანამედროვე პრინციპებზე არის ანყობილი, ჩვენ კი ვცდილობთ რომ ეს ტექნოლოგიები დავნერგოთ და იყოს უფრო მეტი ფერმერისთვის ხელმისაწვდომი.

კომპანია „ინვეტის“ განვითარების გზა სხვადასხვა ეტაპებად შეგვიძლია დაცყოთ:

რამდენიმე წელიწადი ჩვენ თვითონ თვით შემცნებას და ვეტერი-

ნარული კულტურის ამაღლებას მოვაწოდეთ; მეორე ეტაპი იწყება 2006 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ გავაფართოეთ თვალსაწირი, კომპანიისთვის უკვე ხელმისაწვდომია საერთაშორისო ინფორმაციები, ტექნოლოგიები, ხდება უცხოურ პროექტებში ჩართვა, მონანილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში. ეს პროცესი 2006-2012-20013 წლებში მიმდინარეობდა, როცა ჩვენ გვემატებოდნენ უცხოელი პარტნიორები, მაღალი დონის ვეტერინარული, საკვებდანამატების და საკვების მწარმოებელი კომპანიები, ავტორიტეტული ლაბორატორიები.

მესამე ეტაპი დაიწყო როდესაც უკვე ჩვენი ვეტერინარული სამსახურები გავმართეთ და დავინახეთ, რა გამოწვევების წინაშე იდგნენ ფერმერები, რომ მათ არ ჰქონდათ ცოდნა ცხოველთა სწორე კვების მნიშვნელობაზე და არც ხელი მიუწვდებოდათ მაღალტექნოლოგიურ საკვებზე, რის გარეშეც კარგი შედეგის მიღწვდა ძალიან რთული და შეუძლებელია. მეცხოველეობის განვითარებისთვის სამი აუცილებელი ფაქტორის ერთობლიობა საჭირო:

1) ცხოველის მოვლა/შენახვის პირობები, რომელიც ინდივიდუალურია ჯიშის და სახეობის მიხედვით.

2) ბალანსირებული კვება,

3) ვეტერინარინარული კეთილსამედობა

ამ სამი ფაქტორის დაცვის გარეშე ფერმერი წარმატებას ვერ მიაღწევს.

ვინაიდან ვეტერინარული კომპანია ვართ და ჩვენი პარტნიორი ფერმერებისთვის ვეტერინარულ სერვისებს ვაწვდიდით, დავინახეთ, რომ ცხოველთა და ფრინველთა კვების საკითხი ფერმების უმეტესობაში მოუწერიგებელი იყო.

არასწორი კვება – ზუსტად ეს იყო ჩვენთვის სტიმული, რომ გვეფიქრა კომპანიინირებული საკვების წარმოებაზე და ეს უკვე კომპანიის განვითარების მესამე ეტაპია. როდესაც ჩვენ დავიწყეთ აქტიურად ზრუნვა (2012-2013წ.). შეგვექმნა ისეთი საწარმო, სადაც ფერმერებს შევთავაზებდით ტექნოლოგიურად ზუსტად დაცულ საკვებს, რაც იმ კონკრეტულ ჯიშებისთვის და ასაკისთვის იყო აუცილებელი. ამ ჩანაფიქრს ვერ განვითარების ფინანსურულ საქართველოში“ და სახელმწიფოს ხელშეწყობა.

ვისარგებლეთ ამ პროექტით და ავაშენეთ კომპინირებული საკვების თანამედროვე სანარმო, რომელიც აღვჭურვეთ თანამედროვე ტექნოლოგიებით, მარცვლეულის საცავით, უახლესი ლაბორატორიით და იმ სანარმოო ხაზით და დანადგარებით, რაც აუცილებელია დაბალნებული საკვების წარმოებისთვის. ეს იყო ეტაპი როცა შევძლით ცხოველთა ისეთი საკვების წარმოების ხაზი, რომელიც დღეს საჯამოდ წარმატებულია საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. ჩვენ ექსპორტზეც ვმუშაობთ და პროდუქცია აზერბაიჯანში და სომხეთში გაგვაქვს.

დღეს, ჩვენ ბაზარზე ჩვენი შეიძლებილი კომპანიებით ვართ წარმოდგენილი, გვაქვს კარგად ანყობილი სავეტერინარო მომსახურების ქსელი, ცხოველთა საკვები მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური სანარმო, პატარა სადემონსტრაციო ფერმა, ვეტერინარული პრეპარატების ფარმაცევტული წარმოება, სადაც სხვადსხვა სახის მაღალი ხარისხის ვეტერინარული პრეპარატებს ვამზადებთ.

– რა სახის ვეტერინარულ პრეპარატების ანარმოებობა?

– დღეისათვის 40-ზე მეტი პრეპარატი გვაქვს დარეგისტრირებული საქართველოში. ამ საქმეში ჩვენი საიმედო პარტნიორია კომპანია „შემსახურება“.

– ყველა სასოფლო-სამუშაო ცხოველისთვის ანარმოებობა საკვებს თუ მარტო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორისხთვის?

– საკვებს ვანარმოებთ ყველა სასოფლო სამუშაო ცხოველისთვის რაც საქართველოშია გავრცელებული. ამასწინა ლოკოკინის საკვებიც გამოვუშვით. ინტერესი იზრდება, დასავლეთ საქართველოში უკვე რამდენიმე ფერმერული მეურნეობა, რომელიც ლოკოკინებს ამრავლებს და ზრდის. მათგან საკვების შეკვეთა მივიღეთ, ვანარმოებთ და კმაყოფილებიც დარჩნენ, ჩვენს მიერ წარმოებული ლოკოკინის საკვებით.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის საკვები გვაქვს ორი სახის – მერძეული და მეხორცული მიმართულებით, ღორის ყველა ასაკისა და ჯიშების მიხედვით; მეფრინველეობაც ორად არის გაყიდვილი – მეკვერცხული და მეხორცული მიმართულება; ვამზადებთ მწყრის საკვებს, ბოლო პერი-

ოდში მებოცვრეობის კუთხით შეინიშნება აქტიურობა და ბოცვრის საკვების წარმოებაც დავიწყეთ, ასე ვცდილობთ დროს ფეხი ავუწყოთ....

– ბატონი დავით თქვათ ბრძანეთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგეთ საქართველოში, კონკრეტულად, რა იყო ისეთი, რაც მანამდე ჩვენი ფერმერებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი?

– ასალ ტექნოლოგიებს რაც შეეხება ჩვენ 2011-2012 წლებში გავაწდით ფრანგული კომპანია „სევას“ წარმომადგენელი საქართველოში. ბევრი დაავადების საპრევენციოდ ვაქცინაციას ალტერნატივა არ აქვს. ეს ასეა ადამიანებშიც, რასაც დღეს ყველანი ვხედავთ, ზუსტად იგივეა ცხოველებში და ფრინველებშიც.

როგორც კი ევროპელ პარტნიორებთან დავიწყეთ თანამშრომლობა, გადაცნევიტეთ მოგვეძებნა ისეთი პარტნიორი, რომელიც დაგვეხმარებოდა სწორი და მაღალტექნოლოგიური ვაქცინების მოწოდებაში.

ყოველდღიურად 1000-ობით მეცნიერი მუშაობს ახალი ვაქცინების შემუშავებაზე, რადგან ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ვირუსებიც უფრო აგრესიულები გახდნენ და სხვადასხვა ფორმებით ახალი შტამებით ვრცელდება და დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას.

20-30 წლის წინათ თუ მეფრინველეობაში 2-3 ვაქცინა გამოიყენებოდა და ერთი-ორი დაავადების სანინა-აღმდეგოდ იცრებოდა წინილა, ახლა დღეს 5 დაავადების სანინა-აღმდეგოდ რამოდენიმეჯერ იცრება.

წამოიდგინეთ ბროილერის ციკლი გახლავთ 40 დღე, და იმ 40 დღეში 10-

ჯერ მაინც იცრება, რომ ფრინველი სხვადასხვა დაავადებებისაგან დავიცვათ.

ზუსტად ეგ იყო გამოწვევა და პირველი რაც გავაკეთეთ, მაღალტექნოლოგიური ვაქცინები შემოვიტანეთ და ინკუბატორებშივე ავცერით ერთდღიანი წინილები. ეს ტექნოლოგიურად უფრო გამართლებული და უფრო თანამედროვე მეთოდია. დღეს ინდუსტრიული მეფრინველეობის 90 %-ი ინკუბატორებშივე ანარმობებს ვაქცინაციას, რადგან ეს უფრო იოლი, ხელმისაწვდომია საიმედო მეთოდია, უფრო მაღალ დონეზე ხდება ფრინველის იმუნიზაცია, ვიდრე ფერმაში, სადაც ქათამს ვაქცინაციის პერიოდში დიდი სტრესის გადატანა უწევს. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი პირველი ინოვაციური ნაბიჯი ფრანგულ კომპანიასთან ერთად, როცა ჩვენ დავიწყეთ ერთდღიანი წინილების ვაქცინაცია და ჩამოვიტანეთ სპრეი აპარატები, კამერები, ინჟექტორები. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელიც 2012 წელს დავიწყეთ და რაც უკვე აპრობირებულია მთელს საქართველოში.

ასევე შემოვიტანეთ და დავნერგეთ თანამედროვე ვაქცინების სქემები, რომელიც მივაწოდეთ ჩვენს ფერმერებს, რაც კარგი პრეპარაციის საშუალებას იძლევა. როცა ამ სქემით გავაკეთებთ ვაქცინაციას, ფრინველს თუ ცხოველს აღარ სჭირდება ანტიბიოტიკები.

ჩვენი სქემები აგებულია პრევენციაზე და არა მკურნალობაზე, რადგან მოგეხსენებათ, ვირუსის მეურნალობა ძალიან რთულია. იმდენ ზარალს აყენებს მეფრინველეობასაც და მეცხოველეობასაც რომ ჯობია





სწორი პრევენცია გავაკეთოთ, ვიდრე ზარალში ჩავვარდეთ და დანაკარგები განვიცადოთ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მერძეულ, მეცხოველეობაში დავნერგეთ სინქრონზაკის და რეპროდუქციის პროგრამა. ქვეყანაში ყოველ დღე ახალი მაღალ კულტურული ჯიშები შემოჰყავთ საქართველოში, რასაც სპეციალური სერვისები სჭირდება და ჩვენ ვიყყავთ პირველები, რომლებმაც ეს სერვისები გავხადეთ ხელმისაწვდომი.

ძალიან ბევრი ტრენერი, პროფესიონალი გვყავს ჩამოყანილი და როგორც თეორიული, ისე საგელე პრაქტიკულ სწავლება ჩატარებული. დავნერგეთ თანამედროვე კვლევები ვეტერინარიაში, როგორიც არის სერეოლოგია და სერეოლოგიური კვლევები, რაც აუცილებელია კარგი ლაბორატორიული დიაგნოსტიკის გარეშე ვეტერინარიის განვითარება წარმოუდგენელია. ჩვენი ძალისხმევით დღეს ფერმერებისთვის მსოფლიოში აპრობირებული, ბევრი წამყვანი ტექნოლოგია ხელმისაწვდომია.

აგრეთვე, კომპანიის სტრუქტურა არის დაყოფილი დარგების მიხედვით, არის მეცხოველეობის დარგი, მეღორეობის, მეფრინველეობის დეპარტამენტი და კიდევ გვაქვს საინტერესო ზოომიმართულება და შინაური ცხოველები (ძალი, კატა და სხვა), რომელიც ყველას უყვარს და ესეც მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას.

- ბაზობო დავით რა წელილი შეაქვს დღეს კომპანია „ინვეტს“ ქვეწის აღმშენებლობაში, ეკონომიკურ განვითარებაში?

- საკმაოდ სოლიდურ თანხებს ვიხდით დღგ-ს სახით, აქ მიღიონობით ლარზე არის საუბარი. ასევე სოლიდური თანხები შეგვაქვს ბიუჯეტში საშემოსავლოს და მოგების გადასა-

ხადის. ყოველწლიურად ვქმნით სამუშაო ადგილებს. წარმოიდგინეთ, ამ პანდემიის პირობებში, როდესაც ადამიანები ამცირებდნენ და სახლში უშვებდნენ თანამშრომლებს, ჩვენ პირიქით დავიმატეთ 10 ადამიანზე მეტი, როგორც სანარმოში, ისე ოფისშიც, რადგან წარმოება გადავიყვანეთ 2 სამუშაო ცვლაზე და ფაქტობრივად პერსონალის ორჯერ გაზრდა მოგვინია, რაც კარგია, ესე იგი, ჩვენ ვაკეთებთ საქმეს, ვემსახურებით ისეთ დარგს რომელსაც კრიზისების და პანდემიის მიუხედავად, არ ჩერდება, ჩვენი სერვისები და პროდუქცია უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება.

ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ნელნელა მეცხოველეობა და მეფრინველეობა ვითარდება და თუ სწორად და თავისიუფალ გარემოში გავაგრძელებთ ცხოველებას, ინვესტორებისთვის შეიქმნება კარგი პირობები, ერთი სანტიმეტრი მიწა არ დარჩება აუთვისებელი.

მოგეხსენებათ საქართველოშ წარმოებული ხორციც, რძეც, ყველიც კარგი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა და აქ წარმოებული პროდუქცია აუთვისებელი არ დარჩება. მთავარია, შევქმნათ კარგი გარემო ქვეყანაში და საბაზრო ეკონომიკას აქვთ თვისება: თუ ადგილობრივი ბიზნეს-მენი საიმედოდ და თავისიუფლად გრძნობს თაგს აუცილებლად შემოვა ინვესტიცია და განავითარებს ბიზნესებს.

წარმოიდგინეთ, ჩვენთან რომ მასობრივად დაწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, დავაინტერესოთ ინდუსტრიული მსოფლიოს დიდი ბრენდები, დავიწყოთ ხარისხიანი პროდუქციის შექმნა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდება, გაიზრ-

დება საქონელბრუნვა, შემოსავლები, და ადამიანთა კეთილდღეობა.

ამიტომ ჩვენ ფერმერებს ვურჩევდი პირველ რიგში სწორი აქცენტები გააკეთონ, თუ სწორ ამოცანას დაისახავ, წარმატება გარდაუვალია.

ვურჩევდი ჩვენს ფერმერებს, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმონ თვით შემეცნებას განვითარდნენ, შემეცნება მისცემთ იმის საშუალებას, ისწავლონ როგორ მიაღწიონ წარმატებას.

ყოველთვის შეიძლება პატარა საქმიდან დაიწყო და გახადო დიდი, ოღონდ თუ სწორი გზით ივლი და სწორ ორიენტირებს აიღებ, კარგად დათვლი და გათვლი შენს ბიზნესს. ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიების სიახლეები დანერგონ თავიანთ ფერმებში, ტექნოლოგია ეს არა არის ფუფუნების საგანი, როგორც კარგი მანქანა ან ძვირფასი ჭალი. ტექნოლოგია არის შესაძლებლობა დაზოგო რესურსი და მიიღო მეტი მოგება, განვითარდე, ამიტომ ტექნოლოგიაში ფული არ უნდა დაინაონ.

უხეშად და მარტივად რომ ვთქვა: როცა ხელით აკეთებ კვებავ შენს ფრინველს თუ ცხოველს და როცა ამას აკეთებს ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც აგტომატურად აწვდის საკვებს და წყალს რამდენი რესურსი იზოგება. მეორეც, ვეტერინარული კუთხით შევხედოთ. როდესაც ხელით აქმევ და ასმევ ცხოველს და ფრინველს, ის ყოველ შესვლაზე მცირე სტრესს იღებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დღეში ფერმაში ყოველ შესვლაზე ინფექციის შეტანის და დაავადების გაჩენის რისკი იზრდება, რამაც შეიძლება აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს ფერმერს.

მართალია თანამედროვე ტექნოლოგიები ძვირია, მაგრამ ამ საქმეში ფულის დახარჯვა უფრო მეტი ფულის შევნის და წარმატების საფუძვლების ქმნის.

გისურვებთ წარმატებას.

ჩვენი მკითხველი, ფერმერები გაეცნობია ინტერვიუს, რომელიც ონლაინი ჟურნალ აგრონენს-გე-ზეც გამოქვეყნდება; დარწმუნებული ვართ, ისინი კვლავ აქტიურად ითანამშრომლებენ კომპანია „ინვეტს“ და ინტერესით დაელოდებიან სიახლეებს, რასაც კომპანია შესთავაზებს მომავალში.

სახელ-სათას ფართობები, ნიაზაგში ტენიმაკავებელი, გარემოსდაცვითი ტექნიკოგიანისა და ტენიკური სამუშაოების დამუშავება

მიცნიერების შეფასებით, ჩვენს ქვეყანაში ფელისმიერი და ქალისმიერი ეროვნის გამო, ყოველწლიურად დაგრადაციას განიცდის საერთო ფართობის 34% და ეს მაჩვენებელი უძველეს იზრდება. შედეგად არსებობის მცირდება სასოფლო-სამუშაოების კულტურების მოსავალი. აღნიშვნულის ძირითადი მიზანია სავარგულების დიდი ნაწილის მდებარეობა სევადას-ხედა და განვითარების უზრდობების გარემონტიზაცია და მიზანი სევა ტრადიციული გარემონტიზაცია მართვითი მხარეების გამოყენების გადამდებარების გაზით, რასაც მთელი რიგი უარყოფითი მხარეები გააჩნია:

მეცნიერების შეფასებით, ჩვენს ქვეყანაში წყლისმიერი და ქარისმიერი ეროვნის გამო, ყოველწლიურად დაგრადაციას განიცდის საერთო ფართობის 34% და ეს მაჩვენებელი უზვეტად იზრდება. შედეგად არსებითად მცირდება სასოფლო-სამუშაოების მოსავალი. აღნიშვნულის ძირითადი მიზანია სავარგულების დიდი ნაწილის მდებარეობა სევადას-ხედა და განვითარების უზრდობების მოსავალი. აღნიშვნულის ძირითადი მიზანია სავარგულების დიდი ნაწილის მდებარეობა სევადას-ხედა და განვითარების ფერდობებზე და მინის ხევნა ტრადიციული ბელტის გადამდებარების გაზით, რასაც მთელი რიგი უარყოფითი მხარეები გააჩნია:

1. არსებითად იზრდება წყლისმიერი და ქარისმიერი ეროვნია რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება ნიადაგის ნაყოფიერება და საბოლოოდ სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

2. საჭიროა დამატებითი ოპერაცია ბელტის დაშლისა და ნიადაგის მოსწორებისთვის, რაც იწვევს დანახარჯების მნიშვნელოვნად ზრდას.

3. დამატებითი ოპერაციის ჩატარების გამო გვიანდება თესვის პროცესი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს აგროტექნიკური ვადების დარღვევა.

4. ბელტის ინტენსიური გამოშრობის გამო მცირდება ნიადაგის ტენიანობა.

5. დამატებითი ოპერაციის ჩატარების გამო, იზრდება ს.ს. ტექნიკის სავალი ნაწილების ზემოქმედება ნიადაგზე, რაც იწვევს მის ტექნიკას, შედეგად მცირდება ნიადაგის ჰაერგამტარობა, ფილტრაციის უნარი, უარესდება სტრუქტურა და საბოლოოდ მცირდება ნიადაგის ნაყოფიერება.

განვითარებულ ქვეყნებში ნიადაგის ხევნისთვის იყენებენ ჩიზელებს, რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგის დამუშავებას ბელტის გადაბრუნების გარეშე (ტრადიციული ხევნა ნარმოებს 4-5 წელიწადში ერთხელ).

ქვეყანაში არსებული უცხოური ნარმოების ჩიზელები განკუთვნილია ღრმა ხევნისთვის (50-70 სმ) და მათი გამოყენება მარცვლეულის ნარმოებაში მიზანშენონილი არა არის სიძვირის გამო.

რეკომენდაცია

შევქმნათ სამამულე ნარმოების ჩიზელი გაფხვიერების სილრმით 22-30 სმ.

ურყავი ფართობების ნილი მთლიან ფართობებში ძლიერ მაღალია, რის გამოც მოსავლიანობა არსებითად მცირდება. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტენიშემაკვებელი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსული ნალექების მაქსიმალურად შეკავებას ნათეს.

ფართობებში, რაც უდავოდ გაზრდის სასოფლო-სამუშაოები კულტურების მოსავლიანობას ერთის მხრივ და მეორეს მხრივ გარკვეულ წილად შეამცირებს ნიადაგის წყლისმიერ და ქარისმიერ ეროვნიას, ანუ ადეკვატურად შეინარჩუნებს ნიადაგის ნაყოფიერებას.

რეკომენდაცია

დამუშავდეს ტექნიკური საშუალებები, რომლებიც თესვის შემდეგ ნიადაგში ტკეპით ნარმოების ე.ნ. მცირე უბებს (ორმოებს) წვიმის ან თოვლის სახით მოსული ნალექი ვერ გადარის დახრილობის მიმართულებით, არამედ გროვდება უბებებში და ინტენსიურად ჩაედინება, რა ქვევით მინის სილრმეშიქმნის ტენის სოლიდურ მარაგს. ტენით გაჯერების შემდეგ უბე იღსება და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართება წყალი დახრილობის მიმართულებით, შედეგად მინიმალურად ხდება ნიადაგის გადარეცხვა და ქარისმიერი ეროვნია.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ნიადაგის ტენით გაჯერება;
2. წყლისმიერი და ქარისმიერი ეროვნის მნიშვნელოვანი შემცირება;
3. მოსავლიანობის ზრდა;
4. საერთო დანახარჯების შემცირება (ჩიზელის გამოყენების შემთხვევაში).



ჩვენს მიერ დამუშავებულია ტენშე-
მაკავებელი, ნიადაგში უბეების წარ-
მოქმნელი ს.ს. მოწყობილობის სქემა
და შექმნილია სამაკეტო ნიმუში. აღ-
სანიშნავია რომ ვახდენთ სერიული
უმარტივესი კონსტრუქციის სატკეპ-
ნი მოწყობილობის მოდერნიზაციას.

პარამეტრების ოპტიმიზაციის
მიზნით, საჭიროა ჩატარდეს თეორი-

ული და ექსპერიმენტული კვლევე-
ბი, რის საფუძველზეც დამზადდება
და სხვადასხვა პირობებში გამოიც-
დება საწარმოო ნიმუშები. წინას-
წარი სამეურნეო გამოცდები გვაძ-
ლევს იმის რჩევას რომ შემოთავა-
ზებული კონსტრუქციები ფართოდ
დაინერგება სოფლის მეურნეობის
წარმოებაში.

**თბილი თემაზე, ტექნიკურ მეცნიერებათა
აკად. დოქტორი,**

**თბილი თემაზე, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, როფესორი,**

**თბილი თემაზე,
ინჟინერი**

იური



უდიდესი პროფესიონალიზმი და
შრომისმოყვარეობა ეს ორი თვისებაა
მისთვის დამახასიათებელი, რომლი-
თაც 45 წლია მოღვაწეობს და სწო-
რედ ამან ხალხის და სპეციალისტების
პატივისცემა და სიყვარული მოუტანა.

სახელმწიფო გზა განვლო ქალბა-
ტონმა ნანამ სკოლოდან სამეცნი-
ერო-კვლევითი ცენტრის მთავარ
სპეციალისტობამდე. წარჩნებით
დაამთავრა სკოლა, ინსტიტუტი, ას-
პირანტურა. 1972-2002 წწ მუშაობა
დაიწყო საქართველოს ი. ლომოურის
მიწათმოქმედების ინსტიტუტის სე-
ლექციის განყოფილებაში მეცნიერ
თანამშრომლად, 2002-2006 წწ ამა-
ვე ინსტიტუტის სელექციის განყო-
ფილების თავთავიანი კულტურების
სექტორის გამგეა. 2006-2011 წლებში
სელექცია-მეთეულებრივი და გენე-
ტიკური რესურსების განყოფილე-
ბის მთავარი მეცნიერ მუშაკია. 2011
წლს მიწათმოქმედების ინსტიტუტი
შეუერთდა აგრარულ უნივერსიტეტს
და იგი იკავებს მთავარი მეცნიერ
მუშაკის თანამდებობას. გამოჩენი-
ლი მეცნიერის და არაჩეულებრივი
ადამიანის პროფესიონ პეტრე ნასყი-
დაშვილის ხელმძღვანელობით 1990
წლს იცავს დისერტაციას და ენიჭე-
ბა სოფლის მეურნეობის აკადემიური
დოქტორის ხარისხი.

ნანა(გულნარი) ჩხუტიაშვილი ავ-
ტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშ-
რომის, სამი სახელმძღვანელოსი და

მეცნიერი, პროფესიონალი, კატრიოზი

საქართველო გამორჩეული ქვეყნაა, სადაც ადამიანები მუსლიმები-
ლად მუშაობენ და ცდილობენ თავისათვის შრომით სიკათა მოუტანონ
სამშობლის. გამორჩეული ადამიანები მრავლად ყავდა და ახლაც ყავს
საქართველოს. ასეთ ადამიანთი შორისაა სოფლის მეურნეობის მეცნიერე-
ბითა აკადემიური დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეც-
ნიერო-კვლევითი ცენტრის, გარცვლოვანი კულტურული მთავარი საეცი-
ლისტი ნანა(გულნარი) ჩხუტიაშვილი.

ერთი განმარტებითი ლექსიკონის. ავტორი და თანაავტორია მრავალი
პრაქტიკული რეკომენდაციის, რომ-
ლებსაც წარმატებით იყენებენ ფერ-
მერები. ქალბატონ ნანას კვლევის ძი-
რითადი მიმართულებაა თავთავიანი
კულტურების სელექციის თეორიული
დამუშავება, მაღალპროდუქტიული
ჯიშების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს
საქართველოში სოფლის მეურნეო-
ბის პროდუქტიულობის გაზრდას და
საურსათო პროგრამის განხორციე-
ლებას. მისი კვლევის შედეგები ფარ-
თოდ გავიდა წარმოებაში.

ქალბატონ ნანას მრავალმხრივი და
ნაყოფიერი მოღვაწეობა შეიძლება
დავყორთ სამ ეტაპად: პირველი ეტაპის
გამოკვლევები ეხება ხორბლის კულ-
ტურაში მუტაგენეზის გამოყენებას.
ეს სრულიად ახალი მეთოდი, მის მი-
ერ, წარმატებით იქნა გამოყენებული
ხორბლის ინტენსიური ჯიშების მისა-
ლებად. მეორე ეტაპის გამოკვლევე-
ბი ეხება საქართველოში ველური და
კულტურული ფლორის გენოფონდის
აღდგენას, შენარჩუნება-გამრავლე-
ბას. მესამე ეტაპზე მეცნიერი წარ-
მატებით ჩაერთო საერთაშორისო
კვლევებში (ICARDA,CIMMYT) და
გახდა ექპერტი მცენარეთა გენეტი-
კური რესურსების მართვასა და გე-
ნოფონდის შეფასებაში.

ქალბატონი ნანა არასოდეს ერი-
დებოდა წინააღმდეგობებს, შეუპოვ-
რად მუშაობდა ყველა ეტაპზე და სა-
მეცნიერო მოღვაწეობის თეორიული
შედეგების პრეტიკაში გამოყენებით

შექმნა თავთავიანი კულტურების ინ-
ტენსიური ჯიშები: ხორბლის 10, ტრი-
ტიკალეს 1 და შვრის 1 ჯიში. ყველა
ეს ჯიშები საქართველოში ფართოდ
გავრცელებულია და დღესაც დიდი
მოწოდებით სარგებლობს.

ქალბატონი ნანა ყოველთვის გა-
მოირჩევა სამეცნიერო აქტიურობით.
ხშირად მონაწილეობს სამეცნიერო
გრანტების კონკურსში და წარმა-
ტებასაც აღწევს. მას მოპოვებული
აქვს 6 სამეცნიერო გრანტი, როგორც
რუსთაველის სამეცნიერო ფონდის,
ისე საერთაშორისო – მსოფლიო ბან-
კის და CIMMYT-ის. მისი შრომები გა-
მოქვეყნებულია აშშ-ში, ავსტრიაში,
გერმანიაში, ირანში, რუსეთში, უკ-
რაინაში, ყაზახეთში და სხვ. პროფე-
სიონალიზმთან ერთად ქალბატონი
ნანა ჩვენი ქვეყნის პატრიოტიცაა,
რაზედაც მეტყველებს მისი თანაავ-
ტორობით მომზადებული მონოგრა-
ფია „Georgian wheat Germplasm and
its genetic and breeding value“, რომე-
ლიც ინგლისურ ენაზე გამოსცა გერ-
მანულმა აკადემიურმა გამომცემლო-
ბა „LAP LAMBERT“-მა.

ერუდირებულ, თავდაუზოგავად
მშრომელ მეცნიერს ქალბატონ ნანა(-
გულნარი) ჩხუტიაშვილს ვუსურვებთ
დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელო-
ბას და ახალ-ახალ შემოქმედებით
წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკე-
თილდღეოდ.

**ოთხი სამატებელი
პროფესიონალი**

სტევია

(STEVIA REBAUDIANA BERTONI)

სტევია თაფლოვანი, ანუ ტკბილი მცენარეა. ის ასტრასებრთა ან რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომაზებელია, აქვს დაახლოებით 260 პალახისა და პურის სახეობა. გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალურ აშენისაში.

სტევია პირველად მე-16 საუკუნეში გამოიკვლია ექიმმა და ბოტანიკოსმა სტევუსმა, რომელიც ვალენსიის უნივერსიტეტში მუშაობდა, სწორედ მისი გვარიდან მიიღო დასახელება ამ მცენარემ.

თანამედროვე ბრაზილიისაა და პარაგვაის ტერიტორიაზე გუარანის ტომის ინდიელები ასწლეულობის განმავლობაში იყენებდნენ სტევიის ზოგიერთ სახეობას საკვებში, განსაკუთრებით შტევიას ლებაუდანა-ს, რომელსაც ტკბილ ბალახს ეძახდნენ და გარდა საკვების დატებობისა, სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის გულძმარვის სამკურნალოდ იყენებდნენ. 1931 წელს ფრანგმა ქიმიკოსებმა ბრიდელმა და ლავიემ სტევიიდან გამოყვეს გლიკოზიდები, რომელიც მცენარეს ტკბილ გემოს აძლევენ. ექსტრაქტები, რომელსაც ენიდა სტევიოზიდები და რებაუდიოზიდები საქართვისაზე 250-300-ჯერ უფრო ტკბილი აღმოჩნდა. ის არ მოქმედებს სისხლში გლუკოზის რაოდენობაზე და ამდენად დიაბეტით დაავადებულებისათვის მისი მიღება რეკომენდირებულია.

ცნობილია, რომ შაქარი ნახშირწლებია, რომელსაც ორგანიზმი წამიერად შთანთქავს, ხოლო ზედმეტს ცხიმებად აქცევს და ადამიანის სიმსუქნესა და გაცხიმოვნებას იწვევს. დანიელმა დიეტოლოგებმა შაქარი უკვე დიდი ხანია „მსუბუქი“ ნარკოტიკების რიგს მიაკუთვნეს, რადგან აქცს ორმაგი ეფექტი: ა) ტკბილი გემო ენდორფინების გამომუშავებას ასტრიმულირებს; ბ) შაქარი ორგანიზმის სისტემაში იმგვარად „ენცისა, რომ მისი მოხმარება მეტ სურვილს იწვევს. თან შაქარი სოკოებისა და პარაზიტების „საყვარელი“ საკვები გარემოა.

პარაგვას უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა და დაადგინეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას არ აწუხებს გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი, რადგან თითოეული მცხოვრები წელიწადში 10 კილოგრამამდე სტევიას მოიხმარს.

1970-იანი წლების დასაწყისში იაპონელებმა დაინტერეს სტევიას კუტივირება, როგორც ხელოვნური დამატებობლების – ციკლამატისა და საქარინის ალტერნატივის. სტევიის კომერციული გამოყენება იაპონიაში 1977 წლიდან დაიწყო მას იყენებენ სასურათო პროდუქტებში, უალკოჰოლო სასმელებში. სტევიის ბაზრის მთელი 40% იაპონიაზე მოდის. ისინი წელიწადში 2000 წონაზე მეტს ექსტრაქტს მოიხმარენ. ამჟამად სტევია მოყავთ და კვების პროდუქტებში აქტივურად იყენებენ აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის: ჩინეთში, კორეაში, ტაივანში, ტაილანდსა და მალაიზიაში, ასევე ბრაზილიაში, პარაგვაიში, ურუგვაიში, ჩილეში, ისრაელში, უკრაინაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. სტევიას როგორც შაქრის შემცვლელს წარმატებით იყენებენ, როგორც საბავშვო დიეტური და განსაკუთრებით დიაბეტური დანიშნულების, აგრეთვე კვების სხვა პროდუქტების წარმოებისათვის, უალკოჰოლო სასმელების, კომპონტების, მურაბების, ნამცხვრების დასამზადებლად.

საქართველოში მცენარე ინტრდუცირებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში უკრაინიდან, როგორც მრავალნიანი ბალახი, ზამთარში ხმობადი და გაზაფხულზე განახლებადი სახით. აღნიშნულ კულტურაზე სერიოზული სამეცნიერო კვლევითი მუშაობა განხორციელდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრსა და მის ფილიალებში (ჩაქვი, ფოთი) დადგინდა, რომ საქართველოს შავი ზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში ზამთრის პირობების მიხედვით მცენარის 70%-მდე კვლავ აღმოცენდება, ხოლო დახურული გრუნტის (სათბურები) პირობებში მათი მიწისქვეშა ნაწილების გადაზამთრება და განახლება გარანტირებულია. სწორედ ამ ხერხს მიმართავდნენ იმ პერიოდში ლანჩხუთის, სუფისის, ურეკის მოსახ-

ლებაში შესაძლებელია 12-14 კგ მშრალი ფოთლისაგან.

სტევიის წარმოებაში ათვისებასა და სანარმოო პლანტაციებს ზრდის მიზნით კვლევითი სამუშაოები მიმდინარებდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევით ინსტიტუტში. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სახელმწიფო ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური



ხელშეწყობით ორჯერ გრანტიც კი იქნა გაცემული (ვ. ცანავა, ნ. ორაგველიძე, ი. მამულაიშვილი და სხვები) კვლევითი სამუშაოები წარიმართა მცენარეთა გამრავლების, სასუქების გამოყენების, მოსავლიანობის გაზრდისა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების დასამუშავებლად. ძირითადი მიზანი იყო კოლხეთის ზონაში სანარმოო პლანტაციების გასაშენებლად ინტენსური აგროტექნილოგიის შემუშავება და სტევიის სამრეწველო დანიშნულებით ფართო წარმოება. ინსტიტუტის ლაბორატორიაში მეტად საინტერესო ექსპერიმენტიც ჩატარდა, როდესაც სტევიას მოაშორეს სპეციფიკური გემო და მიიღეს აბსოლუტურად ტკბილი, უვნებელი „შაქარი“, მაშინ როდესაც უცხოეთ-

და ნახევარფაბრიკატების დასამზადებლად. ჩატარებული კვლევების შედეგად შემუშავებულია სტევიის ექსტრაქტებისა და კონცენტრაციების გამომუშავების ტექნიკური რეგლამენტები, რაზედაც გაცემულია სავატორო მონიტორი. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში (ზ. ზენელაძე, ე. გობრონიძე, ნ. ძეგლაძე.) ჩაისა და ორფოთოლა სტევიის ბაზაზე წარმოებული ახალი საზის ჩაის პროდუქტები, სახელდობრ, შავი ჩაის გამდიდრება ჩაისა და სტევიის ერთდროული გადამუშავებისა და მექანიკური შერევის მეთოდის გზით. აქვე მკვლევარების აზრით ჩაის გასამდიდრებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც სტევიის ბაზაზე წარმოებული შერევას. ჩვენს პირობებში სტევიის კალმების დასაფეხსვიანებელი კალმების აღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიცოცხლისუნარიანი მსხვილი ყლორტების შერჩევას. ჩვენს პირობებში სტევიის კალმების დასაფეხსვიანებლად სუბსტრატად გამოყენებული იქნა აგროპერატური, რომელშიდაც დაკალმებული იქნა 2-3 ფოთლიანი 7-10 სმ. საგრძის სტანდარტული კალმები. სათბურში პატიმალური სითბოს, ტენისა და ტემპერატურის ფონზე კალმების მაქსიმალური (80-90%) დაფესვიანება 40-60 დღის განვითარებაში განხორციელდა.

იმის გამო, რომ სტევიია უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა აღმოცენების უნარის მქონე თესლს, მას ამრავლებენ ბუჩქების დაყოფით, გადაწვენით და ნაზი ყლორტების დაფესვიანებით. დადგენილია, რომ ბუჩქებიდან დასაფეხსვიანებელი კალმების აღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიცოცხლისუნარიანი მსხვილი ყლორტების შერჩევას. ჩვენს პირობებში სტევიის კალმების დასაფეხსვიანებლად სუბსტრატად გამოყენებული იქნა აგროპერატური, რომელშიდაც დაკალმებული იქნა 2-3 ფოთლიანი 7-10 სმ. საგრძის სტანდარტული კალმები. სათბურში პატიმალური სითბოს, ტენისა და ტემპერატურის ფონზე კალმების მაქსიმალური (80-90%) დაფესვიანება 40-60 დღის განვითარებაში განხორციელდა.

სტევიის ნერგების მისაღებად ასევე შესაძლებელია წარმატებით გამოყენებული იქნას პლასტმასის ყუთები სადრენაჟო ხვრელებით. მასში იყრება სუბსტრატი, მდინარის შლამი დამატებული ნითელმინა ნიადაგის ნარევი (1:1) 8-10 სმ. სისქეზე, ირწყვება და ირგვება სტევიის კალმები 5X6 სმ. დაშორებით – 2,5-3 სმ. სილრმეზე. ყუთი ზემოდან იფარება სინათლე გამტარი პოლიეთოლენის აფსკით. მალლივი სათბურის პირობებში ყუთები შესაძლებელია განვალაგოთ სტელაჟებზე.

კვლევებით დადგინდა, რომ სტევია შესანიშნავად შეეგუა აჭარის, გურიის და კოლხეთის ნიადაგურ პირობებს. ამ ზონებში მისი მოყვანა შესაძლებელია, როგორც მრავალწლიანი მცენარისა. ნინასწარი მონაცემებით (რ. ჯაბინძე) სტევიის ერთ ჰექტარზე გამოწეული პლანტაციიდან შესაძლებელია მიღებული იქნას 8-10 ტონა ნედლი მასა, რომელიც 60-70 ტონა შაქრის ექვივალენტურია, ანუ ერთი კილოგრამი სტევიის ნედლი მასა ორგანოლეპტიკურად ექვივალენტურია 6-7 კგ შაქრის. სტევიის ფოთოლში ტენის შემცველობა 60-70%-ის ფარგლებში მერყობს. ფოთოლის გამოშ-



ში ამისათვის მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ. კვლევებით დადგენილია, რომ სტევია განსაკუთრებულ რეაგირებას ახდენს აზოტიანი სასუქების გაზრდილი კონცენტრაციების მიმართ, მცირდება როგორც, მინის ზედა ნანილის, ისე ფესვთა სისტემის ბიომასა, ამიტომ მისი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საკებები ელემენტების ოპტიმალური შეფარდება. ეს მიიღწევა აზოტის ერთმაგი, ფოსფორის მომაგი და კალიუმის ერთმაგი დოზის გამოყენებისას (N80; P150; K70 ჰა. სუფთა ელემენტის სახით).

საქართველოში ინტროდუცირებული სტევიის ფოთლის ბიოტექნოლოგიური კვლევის შედეგები (ა. კალანდია, ზ. ძეგლაძე, მ. პაპაშვილი, ნ. ორაგველიძე) იმის საშუალებას იძლევა, ეს ახალი ჩვენი ქვენისათვის არატრადიციული წედლები გამოყენებული იქნას მაღალი კებითი და ორგანოლეპტიკური თვისებების მქონე კვების პროდუქტებისა

ის ნედლი ფოთოლი ასევე გამშრალი მასა და წყლიანი ექსტრაქტი. მომზადებული იქნა დაბალკალორიული სასმელები სტევიით, ჩირები, კომპოტები და სხვა პროდუქტები.

სამწუხარდ 21 საუკუნის მიჯნაზე ქვეყანაში განვითარებული არასტაბილური მოვლენების ფოზზე, მეცნიერების მიერ შემუშავებული ესოდენ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები სტევიის ფართო სამრეწველო განვითარების თაობაზე თარიზე იქნა შემოდებული და არავითარი ქმედება სახელმიწოდოს მხრიდან არ იქნა ინიცირებული.

მიუხედავად ამისა სუბტროპიკული ზონის ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში დღესაც შემორჩენილია ამ კულტურისადმი ინტერესი. ამ მიზნით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში კვლავ განახლდა ამ კულტურაზე მუშაობა.

რობის შემდეგ რჩება 38-40% მშრალი მასა, თუმცა მშრალი მასის გამოსავლიანობა დიდადაა დამოკიდებული მცენარის კვების რეჟიმზე, კლიმატურ პირობებზე, მოსავლის აღების ვადებზე და ხერხებზე.

სტევიას მშრალი ფოთლის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და საქმაოდ ძვირადაც ფასობს. ას გრამიანი შეფუთვის ფასი 20 \$-ია. აღნიშნული პროდუქტი იმპორტირებული სახით ჩვენი ქვეყნის ბევრი სუპერმარკეტის თაროზეც აწყვია. სასურველი იქნებოდა ჩვენი საგაჭრო ქსელი ადგილობრივი წარმოების პროდუქტითაც ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

უნდა ვალიაროთ, რომ დღეს სუბტროპიკული ზონის გლეხური და ფერმერული მეურნეობები სხვა პრიორიტეტული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, თხილი, აქტინიდია, ლურჯი მოცვი, დაფნა და სხვა) მოვლა-მოყვანითა და რეალიზაციით არიან დაკავებული, თუმცა ამ კულტურებთან ერთად სტევიის საწარმოო კომპლექსში ჩართვა ურიგო არ იქნებოდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამ კულტურის მოყვანა შესაძლებელი, როგორც საკარმიდამო ნაკვეთებზე ისე სათბურებში, ორანჟერიებში და ოთახის პირობებშიც კი. განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც შაქრის დიაბეტით არიან დაავადებულნი, სტევიის წარმოება დიდ ხარჯებთან არაა დაკავშირებული, სამაგიროდ მათ ექნებათ სამკურნა-

ლო დანიშნულების მქონე ბუნებრივი, ყოველდღიური მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტი.

სტევიის დადებითი სამკურნალო პროფილაქტიკური თვისებები:

საპონინების შემცველობის წყალობით სტევიის აქვს ჰომეოპათიური მოქმედება. აძლიერებს, როგორც კუჭის, ისე ყველა სხვა ჯირკვლის სეკრეციას. აქვს მსუბუქი შარდმდები მოქმედება, აუმჯობესებს კანის დაავადების მდგომარეობას და აქვს ეფექტი რევმატიზმის დროს, კარგია შეშუპებისას. ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ამცირებს სისხლში შაქრისა და ცუდი ქოლესტერინის დონეს, წინააღმდეგობას უწევს კიბოს უჯრედების განვითარებას, ხელს უწყოფს არტერიული წნევის ნორმალიზებას, ებრძებს ჭარბ წონიანობას, შაქრიან დიაბეტს, პანკრეატიტის, ათეროსკლეროზს, ამაღლებს იმუნურ სისტემას, ამცირებს მიღრეკილებას ალკოჰოლისა და თამბაქოს მიმართ.

სტევიისათან დაკავშირებით არსებობდა მოსაზრებები, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად იმოქმედოს (პორმონალური). თუმცა სტევიის ნეგატიური მოქმედება მეცნიერულად არ დადასტურდა.

ვირუსული პანდემიის ფონზე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი სტევიის ესოდენ მრავალმხრივი დადებითი ეფექტები კიდევ უფრო გააძლიერებს, როგორც მისი მომხმარებლების, ისე მნარმოებლების ინტერესს, რაც მოგვცემს სრულ გარანტიას, რომ უახლოეს პერსპექტივაში სუბტროპიკუ-



